წელიწადი მეორე
ფასი 5 კაპ.
ხუთშაბათი, 31 მარტი 1916 წ.
№ 72

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—13)

ქ. გორის ქართველ ქალთა
„მანდილოსანის“ გამგეობა
ამით აცხადებს, რომ კვირას, ბზობა დღეს 3-ს აპრილს დილის 11-ს საათზე ქ. გორში საკრებულო დარბაზში (სამეფო ქ.) დანიშნულია მანდილოსანთა
წლიური კრება
განსახილველია შემდეგი საკითხები:
1) მოხსენება თავმჯდომარისა და ანგარიში 25 მაისიდგან მარტის 15-მდე. 1915 წ.—1916 წლამდე. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3) სესხის აღება. 4) საკუთარი საკანდიტეროს მოწყობა. 5. განყოფილებათა ინსტრუქციის დამტკიცება და სურამში განყოფილების გახსნა. 6) არჩევა თავმჯდომარის თანაშემწისა, ხაზინადრისა და სხ. მამაკაცთ მიეცემათ მრჩეველი ხმა.
(2-145-1) **გამგეობა.**

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

სასტუმრო „ავრორა“
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უალრესი სიწმინდე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია
სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი მ. გ. ვეფხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—12

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 29 მარტი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** მდ. დვინის მიდამოებში ზარბაზნის სროლაა. იკსკიულსკის მხრივ გერმანელებმა სიმაგრეებზე მოინდომეს იერიშის მიტანა, მაგრამ უნაყოფოდ. დვინსკის მიდამოების სამხრეთით, ტბის ახლო, ორთავე მხრიდან ზარბაზნის მკაცრი სროლაა. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

კავკასიის ასპარეზი. აზრუმის დასავლეთით ჩვენი ჯარი წინ იწევს და მტრის ახალ-ახალ ადგილებს იპყრობს.

პარიზი, 28 მარტი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. რუას მიდამოებში, ანდეშის დასავლეთით, მტრის ძლიერი მზვერავი რაზმი გამოჩნდა, რომელიც თოფის ცეცხლით გავფანტეთ. ავოკურის ტყის ნაწილს, რომელიც მტერმა დაიპყრო, ზარბაზნებს ვუშენთ. არგონებში ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის სიმაგრეებს, ლაგარაზის ჩრდილოეთით, დიდი ზიანი მიაყენა.

მდ. მაასის დასავლეთით მთელი დღის განმავლობაში ზარბაზნის სროლა იყო. შუადღისას გერმანელებმა, ოკურ-ბეტანკურის მიდამოებში, მდ. ფორჯის სამხრეთით, ჩვენ სიმაგრეებზე იერიში მოიტანეს. მიუხედავად იერიშის მკაცრი ხასიათისა, მტერმა ჩვენი ბრძოლის ხაზი ვერ შესცვალა. მორტომმ-კიუმერის ასპარეზით, ზარბაზნის სროლის შემდეგ, მტერმა მკაცრი იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენმა ზარბაზნის სროლამ იგი შეაჩერა. მდ. მაასის აღმოსავლეთით, ზარბაზნის მკაცრი სროლის შემდეგ, პუავრის სიმაღლესთან, მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა ლაკაიეტის ტყესთან, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ვევრთან ზარბაზნების სროლაა. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

პარიზი, 29 მარტი. დილის ცნობა. მაასის მარცხენა მხარეზე მორტომმთან მტერმა იერიში მოიტანა კორბოს ტყიდან, მაგრამ უკუ ვაგდეთ, გარდა აღმოსავლეთის ნაწილისა, სადაც მტერმა რამდენიმე სანგარი აიღო. სოფ. დომონთან, მაასის მარჯვენა ნაპირზე, მტერმა სცადა წარსულ დღეებში წართმეული ადგილების დაბრუნება, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. აქ მტერმა იხმარა ასანთები სითხე. დომონ-ვოს მიდამოებში საშინლად ახმაურდა ზარბაზნები. სხვა ადგილებში სიმშვიდეა. ჩვენმა მფრინავმა ჩვენი ბრძოლის ასპარეზზე მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ორი გერმანელი მფრინავი ჩამოვარდნის დროს მოკვდა.

ჰავრი, 28 მარტი. ბელგეთის ცნობა. გერმანელთა რაზმი, რომელმაც სენ-ჟორთან საფასი ადგილები დაიპყრო, უკუ ვაგდეთ. მთელი დღის განმავლობაში დიკსმიუდესთან ზარბაზნების ქუხილია.

ჟურნალ-გაზეთებიდან

აღმოსავლეთი ასპარეზი.

„Daily Chron.“ სწერს: ვერდენის გარდა, ჩვენ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ორი ადგილი აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე: ვილნა და ვილეიკა. გინდენბურგი ხელახლად დაიძრა, ამასთან ერთად კუროპატკინი და ევერტიც ამოქმედდენ. გერმანელებს უნდათ მოლოდეჩნო-ვილეიკა-პლოცკის რკინის გზის ხაზი გაარღვიონ, მინსკზე გზა გაიკაფონ და დვინსკთან რუსის ჯარს ზურგიდან მოექცნენ. ჯერ-ჯერობით ამ ადგილებში თაოსნობა რუსის ჯარს ეკუთვნის. გერმანელები ცდილობენ როგორმე რუსების შეტევას ბოლო მოუღონ, რომ დვინსკის ხაზით თავისი გეგმა სისრულეში მოიყვანონ და გაზაფხულზე პეტროგრადისაკენ გაილაშქრონ.

ხმები ზავის შესახებ.

„Daily Telegraph“ სწერს: ახლო მომავალში აღმოსავლეთით მოულოდნელ ამბებს უნდა ველოდეთ. ადვილი შესაძლებელია, მოკავშირეთა და ოსმალეთს შორის ზავი ჩამოვარდეს.

გაზეთის შეჩერება.

ჰელსინგფორსში გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ომის გათავებამდე გაზეთი „Tammerfors Nyheter“ შეაჩერეს. გაზეთს გერმანელთა მომხრეობა გამოუჩენია.

გერმანეთის კანცლერის სიტყვა

ბერლინიდან იტყობინებიან; რეიხსტაგში, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, რომელიც მინისტრების თანადასწრებით მოხდა, კანცლერმა შემდეგი შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა: საქმის მსვლელობამ გაამართლა ჩემი აზრი ომის შესახებ, რომელიც მე ოთხი თვის წინად წარმოვსთქვი. ყველგან ბრძოლა სასურველ ხასიათს ღებულობს. მტერს ჰგონია გერმანეთს მოსწყვეტს ქვეყანას და მით შიმშილით ამოგვხოცავს. მე ვერ წარმომიდგენია თუ ჰკუამყოფელ ხალხს როგორც შეუძლიან ამაზე ოცნებობა 1915 წლის მაგალითის შემდეგ. 1915 წელს მოსავალი ძალიან ცუდი იყო, ეხლა ცნობების მიხედვით მოსავალს შესანიშნავი პირი უჩანს. ინგლისი თავის ცდას მაინც განაგრძობს, რის შესახებაც შეერთებულმა შტატებმა გულის წყრომა გამოუცხადა. არც ერთ გონიერ ადამიანს არ შეუძლიან მოგვთხოვოს, რომ ჩვენ იარაღი დავყაროთ მაშინ, როდესაც საერთაშორისო უფლების წინააღმდეგ უნდათ შიმშილით ამოგვხოცონ. ჩვენ პატივსა ვსცემთ ნეიტრალ სახელმწიფოებს, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ მტერს ყველაფერში პასუხი გავცეთ. მტერს არა სურს ზავის ჩამოგდება. ასკვიტის აზრით ზავი ჩამოვარდება გერმანეთის სამხედრო ძალის შემუსვრის შემდეგ. ამგვარ პირობებს ჩვენ მხოლოდ იარაღით გავსცემ პასუხს. იარაღი ავიღეთ უფლებების დასაცავად. ჩვენი უკან დახევა შეუძლებელია. ომმა წამოაყენა პოლონეთის საკითხი, რომლის გადაჭრასაც გერმანეთი და ავსტრია-ჰუნგრეთი მოახერხებს. რუსეთს მეორეთ ნება არ უნდა მიეცეს აღმოსავლეთი და დასავლეთი პრუსიის უმწეო საზღვრების გადალახვისა. ვისლის მხარე, საფრანგეთის ფულის წყალობით, არ უნდა გადაიქცეს იმ გზად, რომლის წყალობითაც შეუძლიან გერმანეთს შესიოს. ნება არ უნდა მიეცეს ინგლისს და საფრანგეთს ბელგეთი თავიანთ ვასალურ სახელმწიფოდ გადააქციონ და ამის მეოხებით გერმანეთის წინააღმდეგ იმოქმედონ. ჩვენი მოვალეობა და უფლებაა რუსეთი ვაიძულოთ, რომ რუსეთში დაზარალებული გერმანელები დააკმაყოფილოს, ჩვენი მოძმენი რუსეთის მონობისაგან გავანთავისუფლოდ. ომის შემდეგ მკვიდრი ზავი უნდა ჩამოვარდეს. ინგლისს აზრად აქვს გვებრძოლოს ომის შემდეგ ეკონომიურ ნიადაგზე, მაგრამ ტყუილად ცდილობს; ყველაფერი ხმელეთზე გადასწყდება.

კანცლერმა ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა: ჩვენ არც ერთი ერის განადგურება არ გვდომებია. განა ჩვენი შვილები უცხოელთა მიწის ნაგლეჯისათვის იღლებიან სისხლად? არა. ჩვენც და ჯარსაც ერთი აზრი გვამხნევებს: ძლიერი და თავისუფალი მომავალი ჩვენი სახელმწიფოსი.

სოც.-დემ. ებერტის სიტყვა.

რეიხსტაგში ებერმა სოც.-დემოკ. სახელით სთქვა: კანცლერმა ნათლად დაგვისურათა ჩვენი მდგომარეობა. როდესაც რეიხსტაგში 9 ქრისტეშობისთვეს ლაპარაკი ჩამოვარდა და კანცლერმა განაცხადა სურვილი ზავზე ლაპარაკისა, ლონდონიდან, პარიზიდან და პეტროგრადიდან ბრძოლის ბუკი და ნაღარა დაჰკრეს. საუბედუროდ მოპირდაპირეთა სოციალისტებიც თანაგრძნობით არ შეეგებნენ ზავზე ლაპარაკს. ვიდრე ამგვარი მდგომარეობა იქნება, ჩვენ ვეცდებით სამშობლო დავიცვათ. ჩვენ ინგლისს წყალქვეშა ნავებით ვებრძვით იმისთვის, რომ მას ჰსურს შიმშილით მოგვსპოს, მაშასადამე ნება არავისა აქვს უკმაყოფილება გამოაცხადოს ჩვენ მოქმედების წინააღმდეგ, რადგანაც ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ.

გუსტავ ერვეს აზრი.

გუსტავ ერვე გაზეთ „Victoire“-ში სწერს: გაზაფხულზე გალიციაში რუსეთის ჯარმა, რუმინეთისამ, სალონიკში მოკავშირეთა ჯარმა ინგლის-საფრანგეთის ჯარს დასავლეთის ასპარეზზე დახმარება უნდა გაუწიოს და შეუტიოს ვენისაკენ, ე. ი. სადაც მოკავშირეთა ჯარის შეერთება უნდა მოხდეს. ავსტრია-ჰუნგრეთი გერმანეთის უძლური მხარეა, ისე რომ აქედან უნდა დაიწყოს მათი განადგურება. განა შეიძლება ავსტრია-ჰუნგრეთმა, სადაც 30 მილიონ სლავიანს და იტალიელს 10 მილ. მადიარი და 10 მილ. გერმანელი სტანჯავს შესძლოს შეერთებული ძალის შეჩერება? თუ გერმანეთი გამოექომაგება ავსტრია-ჰუნგრეთს, მაშინ ბელგეთის და საფრანგეთის ასპარეზი შესუსტდება. განა მთელი ქვეყანა არ გრძნობს, რომ ყველასგან მოწყვეტილი გერმანეთი უნდა დამარცხდეს, როდესაც შეერთებული ძალით შეუტევთ მტერს? აი რა აზრი გაგვირბენს ხოლმე თავში, როდესაც მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენელთ სტუმრად ვხედავთ, ამასთანავე იმედი გვეძლევა, რომ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება.

რუმინეთი.

გენადიევის დაპატიმრების შესახებ ათინიდან იტყობინებიან: გენადიევთან ერთად დააპატიმრეს ექვსი მისი თანამოზიარე. დაპატიმრებულთ შარშან საქალაქო დარბაზში აფეთქებაში მონაწილეობას აბრალებენ. გარდა ამისა ესენი რადოსლავოვის მთავრობისა და მეფე ფერდინანდის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ.

გერმანელების ჰაეროპლანი.

ბაზელიდან იტყობინებიან: გერმანელმა მფრინავებმა შვეიცარიის ქალაქში პორენტრიუეში, 18 მარტს 4 ყუმბარა ჩამოაგდეს, რამაც ქალაქს ზარალი მიაყენა. ეს მესამე მაგალითია გერმანელ მფრინავთა მოქმედებისა შვეიცარიის მიწა-წყალზე. ამის შესახებ ფედერატიულმა საბჭომ ბერლინის მთავრობას გულის წყრომა შეუთვალა.

დეპეშები

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

განზრახულია მეხუთე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, რომელიც უნდა მოხდეს 1917 წელს, გადასდონ ერთი წლით. ახლანდელ სათაბირონ წევრების რწმუნებულებას გაუგრძელებენ ერთის წლით.

—

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: მიტროპოლიტ პიტირიმს სახელმწიფო საბჭოს წევრად ჰნიშნავენ. მისი მეუფება პიტირიმი პეტროგრადის მიტროპოლიტადაც დარჩება.

—

მოსკოვის გაზეთები ატყობინებენ სტოკჰოლმიდან ლიბავაში მოვიდა გერმანელების ახალი დრედნოუტი „ჰინდენბურგი“ რომელიც შეიარაღებულია უდიდეს ხუთმეტ დიუმიანიან ზარბაზნებით.

—

ახლო მომავალში კრაკოვში მოხდება მთელ პოლონეთის წარმომადგენელთა ყრილობა; მონაწილეობას მიიღებენ ყველა პარტიები. ყრილობაზედ არჩეული იქნება საერთო ეროვნული კომიტეტი.

გ. ვ.

—

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

სტოკჰოლმიდან ატყობინებენ „ბირჟევი ვედომოსტ“-ს: აქ სარწმუნო წყაროები აღნიშნავენ, რომ შემოდგომაზე დიდ საზღვაო ბრძოლას უნდა მოველოდეთო. ამ ხნის განმავლობაში უკვე მზად ექნებათ ყველა ის გემები, რომლებსაც გაცხარებით ამზადებენო.

—

ჰოლანდიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მალე ინგლისი მას წარუდგენს ულტიმატუმს რათა დაცული იყოს სრული ბლოკადა გერმანეთის საზღვრებისა. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს უარი შეუთვალოს ინგლისს,

—

ოსმალეთის თითქმის ყველა ქალაქებში არეულობა დაიწყო. ხალხი გაბრაზებულია გერმანელებზე და ახალგაზდა ოსმალებს სამშობლოს მოღალატეებად სთვლიან.

—

სერბების საელჩო ადასტურებს, რომ ბულგარელები დაპყრობილ ადგილებში ულმობელად ექცევიან სერბებს. უმიზეზოდ ჰხოცავენ კაცებს, დედაკაცებს და ბავშვებსაც.

—

„ნოვოე ვრემიას" ატყობინებენ: ჰოლანდიაში საქმის გამწვავებას გერმანელთა აგენტების ფარულ მუშაობას აწერენ.

ლ. ჯ.

(პეტრ. სააგენტ. დეპეშ.).

დასავლეთით მდ. მაასიდან ოკურბეტანკურის ხაზით გერმანელებს მკაცრი იერიშები მიაქვთ.

—

მაასის მარცხენა ნაპირზე მტერმა იერიშები მიიტანა კორბოს გზით მორტომის მიდამოებით და აღმოსავლეთით გერმანელებმა რამდენიმე თხრილი ხელთ იგდეს.

—

ვერდენთან გერმანელებს სიმაღლე „265" რამდენიმე დღეა ხელთ უპყრიათ.

—

მდ. დვინის მიდამოებში ზარბაზნები ქუხს.

—

გერმანელებმა ჩასძირეს ინგლისის ოთხი გემი: „მარგამბბეი", „ისტერნსიტი", „სილკსვორდხოლლ", „გლენომოიდ", ერთიც ესპანიისა „სან-ტანდერინო".

ბრძოლის ველზე

სურვილის წინააღმდეგ ისევ ვერდენზე გვიხდება საუბარი. გენერალი პეტენი ღირსეულად აძლევს პასუხს გერმანელთა გააფთრებულს იერიშებს, ყოველისფერიდან სჩანს, რომ გარდამწყვეტ მომენტის წამმა დაჰკრა. გერმანელთ დიდი მსხვერპლით უხდებათ თვითეულ ნაბიჯის აღება. უკვე გამოირკვა, რომ უმტკიცესი მაღლობები, როგორიც „265" და „295" გერმანელთ ხელში გადასულა. გამოირკვა ისიც, რომ დასავლეთით მორტჰომს და კიმიურს მორიგ საკითხად აყენებენ. დეპეშათა სააგენტო დროზე ვერ აქვეყნებს ყოველს წვრილმანს და ამიტომ საზოგადო სიტუაციის გამორკვევა აძნელებს საკითხს. აი, მაგალითად, მაღლობ „265" საკითხი აგერ რამდენიმე დღე გადაჭრილი ყოფილა და სააგენტოდან მხოლოდ დღეს გავიგეთ. მამაცი ფრანგი ჯარები შემდეგს მაღლობებზე გადასულან, რომელნიც სააგენტოს სიტყვით ხსენებულ მაღლობებზე „265" და „295" არა ნაკლები მნიშვნელობა აქვსთო. იერიშები უმთავრესად კორბოს ტყიდან მოაქვთ გერმანელთ. ამ ტყეს თავის დროზე სამხედრო მიმომხილველებმა არავითარი მნიშვნელობა არ მისცეს. მხოლოდ ეხლა მართლდება ჩვენი მოსაზრება, ტაქტიკურად დიდი წარმატება ნახეს გერმანელებმა ამ ტყის ხელში ჩაგდებითაო. კორბოს ტყე ახლა ნამდვილად ბანაკად გარდაუქცევიათ, აქედან ყოველ მხრით იშლებიან გერმანელთა ჯარები, აქედანვე დაეცა შესანიშნავი მაღლობი „295" და ამავე პუნქტიდან უკანასკნელ იერიშების დროს თვით მორტჰომის ერთი ნაწილიც ჩაუგდიათ ხელში.

დუომონ-ვოს რაიონებში მკაცრი საარტილერიო სროლაა. უნდა ვიფიქროთ, რომ სროლას ქვეითი ჯარების საბოლოო იერიშებიც მოჰყვება. არასოდეს ვერდენის ოპერაციას ამ მწვერვალამდე არ მიუღწევიათ. ქოფრის მარჯვენა ხელი პეტენი ღირსეულად იცავს ციხეს და სცდილობს მბრძანებლის განკარგულება სისრულეში მოიყვანოს; არამც და არამც ვერდენის ოპერაცია გენერალურ ომის პრელიუდიად არ გადააქციოს და ყოველი ღონე იხმაროს მხოლოდ ადგილობრივ ხასიათის ბრძოლად დასტოვოს. ქოფრი, როგორც ვიცით, მზადაა ამ მიზნის განსახორციელებლად თვით უკიდურეს გზას დაადგეს და ციხე დასთმოს, თუ ისეთი რამ არ მოხდა, რაიც ხშირად თვით სტრატეგიის მეცნიერებისთვის სიურპრიზის სახით ამოჰყოფენ ხოლმე თავს.

X

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 31 ᲛᲐᲠᲢᲘ.

ერობა კავკასიაში. 26 აპრილს, უავგუსტოეს მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით თბილისში დაიწყება საერობო თათბირი. კავკასიის მთავრობა იწვევს საზოგადოებრივ ძალთა წარმომადგენლებს და მათთან ერთად გამოარკვევს იმ ძირითად საფუძვლებს, რომელზედაც უნდა აშენდეს კავკასიის ერობის კანონ-პროექტი.

ჩვენს ქვეყანაში საერობო თვითმართველობის შემოღებას დიდი ისტორია აქვს. ამის შესახებ არა ერთხელ აღძრულა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე. ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის დროს კავკასიაში ერობის შემოღების საჭიროება მთავრობამაც სავსებით შეიგნო. ამ რიგათ დასრულდა ის ხანა, როდესაც გვარწმუნებდენ, რომ ჩვენ საერობო თვითმმართველობისთვის მომზადებული არ ვართ და ერობის შემოღებისთვის წინასწარი მუშაობაც დაიწყო.

ჩვენს ქვეყანაში გაიმართა მთავრობისა და საზოგადოებრივ ელემენტთა თათბირები და საერობო თვითმართველობის პროექტის შემუშავებას შეუდგნენ. ბოლოს შემუშავებულ იქმნა ცნობილი ვორონცოვ-დაშკოვის კავკასიის საერობო დებულების კანონ-პროექტი, რომელიც გვერდს უხვევდა როგორც საერობო თათბირების ნამუშევარს, ისე რუსეთში მომქმედ საერობო კანონს და ჩვენს ქვეყანაში ახალი სახის საერობო ინსტიტუტს ამყარებდა. ეს პროექტი, რომელიც საგუბერნიო ერობის ნაცვლად სრულიად კავკასიის საერობო ერთეულს მოითხოვდა და თან ჩვენს ქვეყანაში ახალს საადმინისტრაციო გამიჯვნის საჭიროებას აღიარებდა, კანცელიარიების საიდუმლოებისა და გარეშე ელემენტების ფარული გავლენის ნაყოფი იყო და ის რომ განხორციელებას ჰღირსებოდა, ჩვენს ქვეყანას სარგებლობის მაგიერ დიდ ვნებას მოუტანდა. დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის კავკასიის მთავრობის სათავეში მოქცევით, როგორც საერთოდ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე საერობო თვითმართველობის შემოღების საკითხშიაც ახალი ხანა დაიწყო. მთავრობის რომელიმე ერთ ეროვნებასთან თანამშრომლობა დასრულდა და ამასთანავე ასეთს ატმოსფერაში შექმნილი საერობო კანონ-პროექტიც უარყოფილ იქმნა და ეს კავკასიის მთავრობის წარმომადგენელმა სახელმწიფო სათათბიროში აშკარად განაცხადა. 26 აპრილს საერობო თათბირი დაიწყება და ქართველ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა საერობო თვითმმართველობაზედ გარკვეული შეხედულება უნდა შეიმუშაონ. რუსეთში არსებულ ერობაზედ უკეთეს თვითმმართველობას რომ არ მოგვცემენ, ამის შესახებ მრავალჯერ დაგვარწმუნეს და ჩვენც უსაფუძვლო იმედებმა არ უნდა გაგვიტაცოს. რუსეთში მომქმედი საერობო თვითმმართველობაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდათ გამოსადეგი იქნება, თუ რასაკვირველია მომქმედი კანონი ჩვენდა საზარალოდ გადამახინჯებული არ იქნება. 1890 წლის საერობო კანონის ფარგალშიაც ბევრი შესწორება შევა, როგორც ჩვენთვის სასარგებლო, აგრეთვე ჩვენთვის საზიანო. ჩვენი წარმომადგენლებიც უნდა შეიარაღდენ ჩვენი ქვეყნის საჭიროებების გარკვეული შეგნებით, რომ მათის მონაწილეობით შემუშავებული საერობო თვითმმართველობის კანონი ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან შეთანხმებული იყოს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა ცნობამ, შესახებ იმისა, რომ სინოდს განუზრახავს გამოჰყოს საქართველოს საეგზარხოსოდან სოხუმის ოლქი, სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან პოლიტიკურად შეგნებული ერი თავის დღეში ვერ შეიგუებს თავის ისტორიულ უფლებების შელახვას. სოხუმის ოლქი ისევე ხელშეუხებელია, როგორც მთელი საქართველო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველობა უტყვი მოწამე გახდეს მაშინ, როდესაც მისს წმიდათა წმიდას, მის სჯულს, ეკლესიას განსაცდელი მოელის. შეიძლება ქართველი თავისუფალი მორწმუნე იყოს, კიდევ მეტიც, შეიძლება სრულიადაც უარჰყოფდეს სჯულს, სარწმუნოებას, მაგრამ ეკლესიის დაცვა, პატრონობა, როგორადაც ერის კულტურული განძისა, რომელიც აღჭურვილია მრავალ საუკუნოების განმავლობაში სუვერენულ უფლებებით, ყველასათვის, ვისაც კი სწამს ერი, მისი თავისუფლება, სავალდებულო უნდა იყვეს. ვერ გაგვიგია, რად დასჭირდა სინოდს ისეთი საკითხის აღძვრა, როგორიც არის სოხუმის ოლქის გამოყოფა და ისიც სწორედ ეხლა.

ამავე საკითხს ეხება „სახალხო გაზეთი"-ც და ამბობს:

სოხუმის ოლქი ორგანიული ნაწილია საქართველოსი ყოველის მხრით რა მხრითაც უნდა შევხედოთ მას. ამიტომ სერიოზულად არც კი შეიძლება მტკიცება იმისა, თუ რამდენად შეუძლებელია სოხუმის ოლქის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყოფა საეგზარხოსოდან.

ამასთანავე გაზეთი სამართლიანად აღნიშნავს, რომ უმაღლეს საეკლესიო მთავრობის განზრახვაში ერთი ტენდეციაა:

გვერდი აუხვიონ საქართველოს ეკლესიის საჭირ-ბოროტო საკითხებს და მთელი გულისყური, როგორც ქართველი საზოგადოებისა, ისე საზოგადოდ საქართველოს ეკლესიის ბედით დაინტერესებულ პირთა, მიაპყრონ იქითკენ, საითკენაც სრულიად არ უნდა იყოს მიპყრობილი.

აღძრული საკითხი ახალი დაბრკოლებაა და ქართული საზოგადოებრივი აზრი სწორედ ამ დაბრკოლებათა ძლევისკენ იქნება მიმართული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ვისაც საქართველოს ეკლესიის საკითხის გადაწყვეტა და ეკლესიის მოწესრიგება გულწრფელადა ჰსურს, ასეთს დაბრკოლებებს არ შექმნის. მისი გულისყური სულ სხვა მხრისაკენ იქნება მიმართული. ვამბობთ ამას იმიტომ რომ სოხუმის ოლქის გამოყოფის პროექტი დაიბადა იმ კომისიაში, რომელსაც მიტროპოლიტი პიტირიმი თავმჯდომარეობს. ჩვენ არ ვიცით რასა ფიქრობს ზემოხსენებული პროექტის შესახებ თვით მიტროპოლიტი პიტირიმი, არ ვიცით, რა განზრახვა აქვს, რა მიზნით აპირებს პროექტის განხორციელებას, მაგრამ რა მიზნითაც არ უნდა ჰხდემოდეს იგი და ვინც არ უნდა იყოს ავტორი პროექტისა, ერთი მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა: თუ პროექტი მიზნად ისახავს სოხუმის ოლქის გამოყოფას საქართველოს საეგზარხოსოდან, იგი შეუწყნარებელი იქნება ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ.

ახალი ამბავი

ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: რადგანაც ტელეგრაფი საქმით დატვირთულია, ხელმწიფის სახელობაზე მისალოც დეპეშებს ნუ გაჰგზავნიან დაწესებულებანი, საზოგადოებანი თუ უწყებანი, ნურც საალდგომოდ, ნურც 6 მაისს. ამის გამო ასეთ მისალოც დეპეშებს აღარ მიიღებენ თბილისის საფოსტო სატელეგრაფო კანტორაში.

◆ **მეფის ნაცვალი** დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავარი რომან-პეტრეს ძე ბათომიდან თბილისს დაბრუნდნენ.

◆ **გზათა სამინისტროსაგან** კახეთის რკინის გზის გამგეობამ ნებართვა მიიღო შემდეგ ადგილებში ბაქანების გასამართად: 1) გერმანელთა ახალშენთან—ს. სართიჭალასთან 2) ს. თოხლიაურთან, 3) ს. ჩალაუბანთან, 4) ს. ვეჯინთან, 5) სოფლებ ანაგასთან და ვაქირ შუა და 116 ვერსის მანძილზე თბილისიდან.

◆ **კახეთის გზის დასათვალიერებლად** დღეს კახეთში მიემგზავრება თავად აზნაურთა კომისია. კომისიაში შედიან ნ. ი. ნიკოლაძე, გზის გამგე გ. პ. თუმანიშვილი, თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი გ. დ. ჟურული, რ. ნ. ვაზბეგი და სხ.

◆ **თავის მოკვლა.** სამწუხარო ამბავი მოვიდა სოფ. კიცხიდან (შორაპნის მაზრა). იქაურ საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეს პ. ს. მაჭავარიანს ქუთაისიდან ფული აუტანია სოფელში და მეორე დღეს ხალხისთვის სესხი უნდა დაერიგებინა, მაგრამ კასა რომ გაარო, ფული აღარ დახვდა. ეს ვეღარ აუტანია მაჭავარიანს და თავი მოუკლავს. აღმოჩენილა ბარათი, რომელშიაც მაჭავარიანი ამბობს: ფულის დაკარგვაში წილი არ მიდევსო. სოფელი დიდად დამწუხრებულია ბ-ნ მაჭავარიანის ტრაღიკულ გარდაცვლით, რადგან ის სოფლის საუკეთესო მოღვაწე იყო და ყველა დიდ პატივსა სცემდა.

◆ **სიმინდის ფქვილი ფუთი 50 მანეთი.** გუშინდელს ნომერში მოხსენებული გვქონდა, რომ ძმ. შაკიაშვილების სავაჭრო დუქანში ჰყიდიან სიმინდის ფქვილ ნარევს გოგირდს ფუთს 50 მანეთად. გოგირდში ურევენ თურმე ორწილ სიმინდის ფქვილს. ძმანი შაკიაშვილები ასე მოღვაწეობენ, თურმე, სოფ. კარდანახში და არა გურჯაანში, როგორც მოხსენებული გვქონდა.

◆ **წერა-კითხვის** საზოგადოება ჩვეულებრივ დიდ სახალხო სეირნობის გამართვას აპირებს. ამ საქმის მოწესრიგება საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაავალა ქართველ მანდილოსნებს, რომელთაც პირველი კრება ექნებათ შაბათს, 2 აპრილს.

◆ **ხმოსანთა დამატებითი არჩევნები** მოხდება 3 აპრილს: 1) პირველ საარჩევნო უბნისა—შრომის ბირჟაში; 2) მეორე საარჩევნო უბნისა ქალაქის საბჭოს დარბაზში; 3) მესამე საარჩევნო უბნისა ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში; 4) მეოთხე საარჩევნო უბნისა—ავლაბრის კლუბში; 5) მეექვსე საარჩევნო უბნისა—ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში. მეხუთე და მეშვიდე უბნებში არჩევნები დამთავრებულია. არჩევნები დაიწყობა დილის 10 საათზე და გასტანს ნაშუადღევის 3 საათამდე. შემდეგ კენჭების დათვლას შეუდგებიან.

◆ **ქალაქის საბჭოს** ახლად არჩეული ხმოსნები პირველად შეიკრიბებიან მაისის პირველ რიცხვებში.

◆ **თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისათვის,** რომელმაც ბათომის ქალაქის მოურაობას თავი დაანება, ბათომის ქალაქის საბჭომ წლიურ პენსიად დაუნიშნა 2.400 მანეთი. ამასთანავე საბჭომ დაადგინა მისი სურათი დაჰკიდოს საბჭოს დარბაზში და ბათომის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს „ქუჩა თავ. ანდრონიკაშვილისა". თავ. ანდრონიკაშვილი 29 ამა თვეს თბილისში ჩამოვიდა და აქედან რამდენიმე დღის შემდეგ სპარსეთში გაემგზავრება.

◆ **გაემგზავრა ქუთაისს** [illegible] რისა ყოვლად სამღვდელო ანტონი.

◆ **გადმოხვეწილთა გადასახლება.** სათანადო დაწესებულების განკარგულებით თბილისში შემოხიზნულნი უნდა გადაასახლონ ერევნისა და განჯის გუბერნიებში. თბილისში ამ ჟამათ 5,000-დე შემოხიზნული სომეხია.

◆ **უკანონო არჩევნები.** სოფელ ქვემო ხევში (დუშეთის მაზრა) ამ დღეებში მოხდა სასოფლო მოხელეთა არჩევნები ახალის წესით. არჩევნებმა უკანონოდ ჩაიარა. საზოგადოება შესდგება 1050 კომლისაგან და კანონის თანახმად კრებას უნდა დასწრებოდა ⅔ მეკომურთა ე. ი. არა უმცირეს 700 კაცისა, ნამდვილად კი კრებას დაესწრო 250 კაცამდე. გარდა ამისა მოხელეებად არჩეულ იქმნენ სოფლისაოვის არა სასურველი პირნი. ამის გამო ქვემო ხევის საზოგადოებას აურჩევია დეპუტაცია, რომელმაც უნდა სთხოვოს გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს, გააუქმოს მომხდარი არჩევნები და ახალი ყრილობა დანიშნოს მოხელეთა ასარჩევად.

◆ **სოფ. აწყურის** (თელავის მაზ.) საკრედიტო ამხანაგობას 1915 წელს წმინდა მოგება დარჩა 1.200 მანეთი. ამ წლის 1 იანვრისათვის ამხანაგობის ბალანსი უდრიდა 38.000 მანეთს, რაიცა იშვიათი მოვლენაა სასოფლო ბანკში. ამხანაგობას აქვს სახელმწიფო ბანკში გახსნილი მოკლე ვადიანი კრედიტი 15.000 მან. და გძელ ვადიანი 2.000 მან. 7000 წევრი ჰყავდა საანგარიშო წელს. 7 წელი შესრულდა მისი არსებობისა. მან შეიძინა საკუთარი ადგილი და ააგო შენობა.

◆ **სოფლის საჭიროება.** თბილისში ჩამოვიდა აწყურის (თელავის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ი. გ. სულხანიშვილი, რომელსაც სოფლისაგან დავალებული აქვს: 1) იშოვოს 400 ფუთი შაბიამანი, 2) მოიპოვოს საკვები და 3) საკრედიტო ამხანაგობას მოუპოვოს თბილისის რომელიმე ბანკში კრედიტი. ბ-ნმა სულხანიშვილმა ჯერ-ჯერობით კრედიტისათვის მიმართა სამეურნეო ბანკს, რომელმაც სესხის მიცემა აღუთქვა.

◆ **სახაზინო პალატა** 4 აპრილიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებით იძლევა ჯამაგირებს სააღდგომოდ.

◆ **შუამდგომლობა.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა თხოვნა მიართვა მეფის ნაცვლის თანაშემწეს თავ. არლოვს, ქალაქის თვითმართველობას ნება მიეცეს 5-დე წარმომადგენელი გაგზავნოს იმ თათბირზე, რომელიც მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით გაიმართება 26 აპრილს საერობო თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 29 მარტს: ფქვილი 5 ვაგ., ქერი 1 ვაგ., მწვანილი 1 ვაგ., ქატო 4 ვაგ., შეშა 6 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., გაუწმენდავი 1 ვაგონი.

◆ **გადამდები სენი:** გუშინ, 30 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 1, მუცლათი ავადმყოფი 1, სახადიანი 113, ქუნთრუშო-

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

(გაგრძელება. იხ. „საქარ." № 69)

გაცილებით მეტ როლს თამაშობს დასავლეთ საქართველოს ეკონომიკაში **შავი ქვის მრეწველობა** ჭიათურის რაიონში, რომელზედაც აღმაფრთოვანებელი გავლენა იქონია 1895 წ. გაყვანილმა ჭიათურის ლიანდაგმა, რომელმაც გაადვილა საქონლის ჩქარი ტრიალი და ნავთსაყუდრებისაკენ გაზიდვა. მრეწველობის ამ დარგის სურათი შეგვიძლიან ზოგადათ შემდეგი ციფრებით დავხატოთ:[1])

წლები.	მრეწველთა რიცხვი.	რამდენი ფუთი ამოღებულა.	რამდენი ფუთი გაზიდულა.
1898	—	16.259,204	16.369,431
1899	290	34.052,432	25.073,419
1900	377	40.363,492	28.698,357
1901	179	22.904,535	21.648,575
1902	183	25.925,115	31.177,892
1903	180	22.974,603	29.952,646

მრეწველთა ნამდვილი რიცხვი სინამდვილეში გაცილებით მეტი იქნებოდა ვიდრე აქ მოყვანილი ციფრები მოწმობენ. მაგრამ საერთო დაცემა ამ მრეწველობისა უკანასკნელ წლებში გამოწვეულია მუდმივი გაფიცვებით მუშების მხრივ. მრეწველობის წარმოებაში მონაწილეობას ღებულობდა:

წლები	მუშები
1898	1.245
1899	3.250
1900	3.702
1901	1.975
1902	2.212
1903	2.004

ამ ციფრებსაც, როგორც წინა ციფრებს, მრეწველთა რიცხვის შესახებ მხოლოდ დაახლოებითი მნიშვნელობა აქვს საერთო სურათის დასახატავად. მიუხედავად ზოგიერთ რყევისა, მოყვანილი საბუთები ცხადად ყოფენ, თუ რა რიგად იზრდებოდა შავი ქვის მრეწველობა და აღონიერებდა მაზედ მომუშავე მრეწველთა წრეს. ასე მაგ. 1898 წელს თუ დამუშავებულის რაოდენობა გაზიდულზე მხოლოთ 0,67 პროცენტით ნაკლები იყო, თუ 1899, 1900, 1901 წ. დამუშავებულის რაოდენობა სჭარბობდა გაზიდულის რაოდენობას (35, 81, 40, 65, 5, 80%%-ით) სამაგიეროდ უკანასკნელ წლებში მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ დამუშავებული საქონლის რაოდენობა გაზიდულისას 20,26 (1902 წ.) და 30,37% (1903 წ.) უკან რჩებოდა. [1]) ცხადია, თუ კი ასეთი დიდი მოთხოვნილება არსებობდა, საქონლის დამუშავებაც წამსვე იწყებდა გიგანტიურათ ზრდას, როგორც კი გამოიცვლებოდა დამაბრკოლებელი გარეშე პირობები.—აღებ-მიცემობა და ვაჭრობაც განიცდიდა ამგვარ გავლენას დროის მიერ შექმნილ პირობების გამო, რაც აუცილებლივ მისაღებია მხედველობაში როდესაც ჩვენ შემდეგ სურათს განვიხილავთ. ოფიციალი ცნობების მიხედვით **ვაჭრობა-მრეწველობის** საერთო მდგომარეობა შეიძლება დავასურათოთ შემდეგ ნაირათ:

წლები	ქარხნების რიცხვი	მუშების რიცხვი	ნაწარმ. ღირებ.
1899	836	14,335	9,597,024
1900	478	4,590	50,893,799

აგეთ დიდ ზრდას აღნიშნავს ყველა ოფიციალი წყარო.

1900 წ. მთავრობის მიერ გაცემულ იქმნა ვაჭრის წოდების 333 მოწმობა (сословныя купеч. свидѣтельсва), სავაჭრო წარმოებისათვის 7.525 (свидѣт. для торговыхъ предпрятій), სამრეწველო წარმოებისათვის 921 (свидѣт. для промышлен. предпрятій), სავაჭრო წარმოებასთან გახსნილ საწყობებისთვის 380 მოწმობა, სამრეწველო წარმოებასთან გახსნილ საწყობებისთვის 223. სხვა და სხვა საქმიანობისათვის (промысловыя занятія) 1.538. სულ ვაჭარ-მრეწველთა წრეს აუღია 10.920 ოფიციალი მოწმობა იმავე საგნის საერთო სიცხვი 1901 წელს უდრიდა 11.176. ეს რიცხვი ცოტათი ნაკლებია 1902 წელს (11.148) მხოლოდ შვიდ მაზრაში დიდი მრეწველობის (შავი ქვისა ქვა-ნახშირისა, მაგარი სასმელებისა თამბაქოსი და სხ.) გამოკლებით 1903 წ. ითვლებოდა 2,332 ქარხანა 4,342 მუშით, რომელზედაც მზადდებოდა ერთი მილიონის ღირებულება [3]).

1899 წ. ბათომის ნავთსაყუდარში შემოვიდა სულ 5,123 გემი და გავიდა 5,340. 1900 წ. შემოვიდა 5,946 და გავიდა 5951.

ბათომის და ფოთის ნავთსაყუდართა ორი წლის ცხოვრების სარკეს წარმოადგენს შემდეგი ციფრები:

1899 წ.
ფუთი
შემოზიდეს 13.756,682 ბათომში
გაზიდეს 17.344,170 ბათომიდამ [4])
1899 წ.
ფუთი
შემოზიდეს 13.849,938 ფოთში
გაზიდეს 29.877,148 ფოთიდან [5]).
1900 წ.
შემოზიდეს 15.071,409 ბათომში
გაზიდეს 75.256,012 ბათომიდან
1900 წ.
შემოზიდეს 14.888,633 ფოთში
გაზიდეს 30.599,711 ფოთიდან [6])

ევროპიდან შემოზიდულ და ევროპაში გაზიდულ საქონლის ღირებულება რომ ვიანგარიშოთ იქნება:

დასავლეთ ევროპასთან (რუსეთის გამოკლებით) ვაჭრობა გამოიხატება შემდეგ ნაირად ორი წლისათვის:

1901 წ.
შავი ზღვის ნავთსაყუდრებით საქონელი
შემოზიდეს 8.130,558 მანეთის
გაზიდეს 52.587,242 „ [7])
1902 წ.
შავი ზღვის ნავთ საყუდრებით საქონელი
შემოზიდეს 5.683,164 მანეთის
გაზიდეს 46.867,503 „

იმავე წლებში რუსეთიდან შემოიტანეს და რუსეთში გაზიდეს

1901 წ.
შემოიტ. 24.321,153 ფუთი.
გაზიდ. 12.617,523 „
1902 წ.
შემოზ. 25.064 ათასი ფუთი.
გაზიდ. 16.474 ათასი ფუთი[8])

1903 წ. ბათომის ნავთ საყუდარში შემოვიდა სულ 5.207 გემი და ამდენივე გავიდა.[9]) შემოსაზიდავ და გასაზიდავ საქონლის საერთო ტრიალი გამოიხატებოდა ციფრში 107.716,273 ფუთი. ბათომის მეტოქე იყო უცხოეთის ნავთსაყუდრებში ტრაპიზონი, რომელიც წარმატების კვალობაზე ქვეითდებოდა ბათომის წარმოების განვითარებით.

თუ რამდენად დასცა ბათომმა ტრაპიზონის ნავთსაყუდარი გვიჩვენებს შემდეგი ციფრები. ტრაპიზონის ნავთსაყუდარში იყუდებოდენ გემები:

1898 წ. 9.671, რომელთა წყალწყვა უდრიდა 661.000.

1901 წ. 6.383, რომელთა წყალწყვა უდრიდა ტონით 553,000.

ე. ი. სამიოდე წლის განმავლობაში მსრბოლელ გემთა რიცხვი ტრაპიზონში შემცირებულა 34%-ით. ამდენათ იწევდა წინ ჩვენი ქვეყნის ნავთსადგური—ბათომი, სადაც იზიდებოდა არა მარტო საქართველოში შემოსატანი, არამედ სპარსეთსა და თურქესტანში გადასაზიდავი საქონელიც.[10])

ტიტე მარგველაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

[1]) იხ. სხვა და სხვა წლების Статистика марганцеваго дѣла.

[1]) გაზიდულის ზედმეტი რაოდენობა იკრიფებოდა პლატფორმებზე დაყრილ მზა საქონლის რაოდენობიდან.

[3]) აქ სათვალავშია მიღებული შედარებით მხოლოდ წვრილი წარმოების ქარხნები: კირისა, საპნისა, წყლებისა, ტყავეულებისა, შამპანიურისა, სანთლისა, აგურისა, ხეტყისა, კრამიტისა, წისქვილებისა და სხვა ამგვარი.

[4]) ამა წლის ტვირთთა საერთო ტრიალი (грузооборотъ)=91.100,852 ფუთს.

[5]) შემოვიდა სულ 1268 გემი (ორთქლისა და იალქნიანი), გავიდა 1260 გემი. ბათომში შემოვიდა 1821 გემი (ორთქლისა და იალქნიანი), გავიდა 1826 გემი. ტექსტში მოყვანილ ციფრში შედის დაბალ ხარისხის ნავების რიცხვიც.

[6]) ბათომის ნავთსაყუდარში შემოვიდა 4,958 გემი, გავიდა 9,866 (აქედან 2,033 ევროპისა).

ფოთის ნავთსაყუდარში შემოვიდა 1173 გემი, გავიდა 1,161 (აქედან ევროპისა 223 გემი).

[7]) შავი ზღვის ნავთსაყუდრებში შემოვიდა 5821 გემი, გავიდა 5841 (აქედან 1035 ევროპისა).

ბათომის ნავთსაყუდარში შემოვიდა 1753 გემი, გავიდა 1757 (აქედან ევროპისა 734).

ფოთის ნავთსაყუდარში შემოვიდა 1214 გემი, გავიდა 1222 (აქედან 135 ევროპისა).

[8]) ბათომით შემოზიდეს 13.852,457 ფუთი, გაზიდეს 95.273,478 ფ. (აქედან დასავლეთ ევროპაში გაიტანეს 87.588,662 ფუთი სხვა და სხვა საქონელი.

[9]) აქედან ორთქლიანი და იალქნიანი იყო 2001 (ორთქლიანი 1,898).

ბათომის ტვირთთა საერთო ტრიალი იყო:

1899 წ. 91.100,852 ფუთი.
1900 წ. 90·327,421 ფუთი.
1902 წ. 108.625,935 ფუთი.
1903 წ. 107.717,273 ფუთი.

[10]) ბათომის განვითარებისა და ტრაპიზონის დაქვეითების შესახებ იხ. შესამჩნევი Siwers „Asien" გვ. 195 სადაც საუბედუროთ ავტორს ერთი კაპიტალური შეცდომა შეპარვია: თბილისს, ტრაპეზუნს, არდაგანს, ბათომს უწოდებს სომხების ქალაქებს!

ანი 138, ყვავილიანი 2, საოფლიანი 8, ხუნაგიანი 16 და გამოურკვეველ სენით 3 კაცი.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის** კომიტეტი აპრილის პირველ რიცხვებში ჩუმლაყის სანერგესთან აწყობს მუშაობას ნამყენი ვაზის დამზადებისას.

✦ **ქალაქის არჩევნები.** როგორც საბოლოოდ გამოირკვა არჩეულია სულ 73 ხმოსანი ამ რიცხვში 50 ძველ ხმოსანთაგანი და 23 ახალი. ამნაირად განახლების პროცენტი საკმაოდ დიდია. ეროვნების მხრივ ასეა დანაწილებული უბნებში: პირველ საარჩევნო ბნიდან 1 რუსი და 6 ქართველი, მეორიდან 4 რუსი, 1 ქართველი და 10 სომეხი, მესამიდან ერთი რუსი და 13 სომეხი, მეოთხიდან—9 სომეხი, მეხუთედან 7 სომეხი, მეექვსედან 2 რუსი, 1 ქართველი და 11 სომეხი და მეშვიდე უბნიდან 2 რუსი, 4 ქართველი და 1 სომეხი. სულ არჩეულია 10 რუსი 12 ქართველი და 51 სომეხი.

✦ **კავკასიის გრილი საწყობების** მომწყობ კომიტეტის კრება დღესაა დანიშნული. კრებაზე მ. ა. ვასილიევი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ განხილულ იქმნება ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა.

✦ **გერმანელთა მიწების ლიკვიდაცია.** ქალაქის გამგეობის წევრს ათაბეგოვს დაევალა გერმანელთა ახალშენის ალექსანდერსდორფის (დიდუბეში) მიწების ლიკვიდაციის საქმის შესწავლა. ამ მიწებს ქალაქი იძენს.

✦ **ჯარის კაცთა ოჯახებს** თვიური დახმარება აღდგომის დღესასწაულის გამო მიეცემათ 11 და 12 საპოლიციო უბანში მცხოვრეთ—1 აპრილს, 6 და 7—2 აპრილს, 9 და 10—3 აპრილს, 5 და 8—4 აპრილს, 3 და 4—5 აპრილს 1 და 2—6 აპრილს.

ქუთაისი

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრათ დაამტკიცეს ინჟინერი არდიშვილი.

— შაბათს, 2 აპრილს საღ. 7 საათზე შავი ქვის მრეწველთა დარბაზში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება, ამ კრებაზე აირჩევენ კულტურულ დაწესებულებათა კავშირისთვის სამ წარმომადგენელს.

ამავე საზოგადოების გამგეობამ 29 მარტის კრებაზე დაადგინა, ამ კრებაზე მიეცეს მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ წევრთ რომელთაც შემოტანილი აქვთ საწევრო სამი მანეთი.

— ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ თავის მდივანს გუცა ფარქოსაძეს თვეში 20 მანეთი მიუმატა.

— იანვრისა და თებერვლის განმავლობაში ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს ჰქონია შემოსავალი 4277 მ. და ხუთი შაური, გასავალი 4257 მ. და თერთმეტი შაური.

— როგორც ოკრიბიდან (ქუთ. მაზ.) იტყობინებიან, იქ კვლავ უჩენია თავი შავ ჭირს და ხალხს მუსრს ავლებს. ჯერ-ჯერობით არავითარი ზომა არ მიუღიათ.

— შორაპნის სამაზრო სამმართველოს საქმის მწარმოებელი იასონ ღოღობერიძე ჭიათურის მაღაროების ბოქაულის თანაშემწედ დაინიშნა!

— ქართული გიმნაზიის მერვე და მეექვსე კლასში გამოცდაზე სამისწავლო ოლქის წარმომადგენლათ დაესწრება შარშანდელი დეპუტატი ზახაროვი. პირველი წერითი, გამოცდა მე-8-ე კლასში 4 აპრილს დაიწყება.

დ. ჩოხატაური.

— ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების სამზრუნველოს დავალებით სახალხო სკოლის ინსპექტორმა ნ. ჯაყელმა მოახდინა რევიზია სოფ. საყვავისტყისა და ციხის სკოლებში, სადაც აღმოჩნდა, რომ სხვა საგნების გარდა ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ქართული ენა ყოფილა. ინსპექტორი ჯაყელი ამის გამო სამზრუნველოში ცალკე მოხსენების წარდგენას აპირებს.

ახალი ბანკი

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს

რომ თანახმად ბანკის დამფუძნებელთა და აქციონერთა დადგენილებისა, ყველა აქციონერი, (ვისაც შემოტანილი აქვს პირველი გადასახადი აქციის—10 პროცენტი—ე. ი. თითო აქციაზე 25 მანეთი)

ვალდებულია,

შემოიტანოს მეორე ხვედრი გადასახადი—აქციის 40 პროცენტი, ე. ი. თითო აქციაზე 100 (ასი) მანეთი ამა მიმდინარე წლის 10—20 მაისამდის.

ხელის მოწერა და ფულის შემოტანა მოწყობილი იქნება იმავე წესით და იმავ ადგილებში, როგორც პირველი ხვედრი ფულის შემოტანის დროს იყო. ოც მაისის შემდეგ ფულების მიღება შესწყდება. დაწვრილებითი ცნობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა სარაჯიშვილის სახლი, № 6. საურთიერთო სამეურნეო ბანკის სადგომში.

საქართველოს ეკლესიის გულისთვის

ივერიის ეკლესიის საქმე ისეთი ბუნებისაა რომ მისი კანონიერი და სამართლიანი მოგვარება შეიძლება არსებული რეჟიმის ფარგლებში. ამ ეკლესიის ძირითადი და საფუძლიანი განკურნება—მისი დამოუკიდებლობის აღდგენა—მოსახერხებელია რუსეთის მოქალაქობრივ-პოლიტიკური ვითარების შეუცვლელადაც. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა ოდნავათაც არ ეპირისპირება რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილების დღევანდელ ხასიათს, მათ შორის არავითარი ორგანიული კონფლიკტი და შეუწყნარებლობა არ არსებობს. ეს უტყუარი დებულებაა, რომელმაც უკვე მიიღო უმაღლესი სანქცია თვით ხელმწიფე იმპერატორისაგან, როდესაც მან ქართველობის ხმა შესახებ მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა ყურად იღო და 1906 წლის 11 აგვისტოს თარიღით ქართველ სამღვდელოების პეტიციას რეზოლიუციაც წააწერა, რომ ეს საკითხი გარჩეულიყო სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზედ. ხელმწიფე იმპერატორის ეს აქტი მოწმობს რომ ქართველი ერის ხმა რომ ივერიის ეკლესიას დაბრუნებოდა ავტოკეფალური არსებობის უფლება, სამართლიან ხმად არის ცნობილი უმაღლესად; მეფისაგან ამ ხმის პრინციპიული შეწყნარება და განსამბჯობად გადაცემა თავისთავად გულისხმობს რომ შესაძლებელია ივერიის ეკლესიის საკითხის გადაჭრა, რუსეთის აწინდელ პოლიტიკურ პირობებშიც, ავტოკეფალიის მინიჭების სახით.

ამ აქტის მნიშვნელობა უნდა სავსებით შევიგნოთ და ვიმუშაოთ მის ხასიათთან შესაბამ მოქმედების ფარგალში. იგი აქტი საშუალებას გვაძლევს სრულიად უშიშრად, დაუფარავად და ლეგალურად ფართო ხასიათის საქმიანობა გავაჩაღოთ ჩვენი ეკლესიის აღსადგენად.

ერთის წუთითაც არ უნდა შესწყდეს ამ იდეის პროპაგანდა საქართველოს სამრევლოებში; ყველამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ საქარ. ეკლესიის საკითხი მთელი ერის საკითხია, რომ შეუძლებელია ეს ძვირფასი განძი რომელიმე ერთ წოდებას მოუგდოთ და მას დავაკისროთ მისი დაცვა და მოვლა-პატრონობა. დღევანდელი საერთო მდგომარეობა და კერძოდ დიდი საეკლესიო რეფორმების სამზადისი, რომელსაც უწმიდესი სინოდი უკვე შეუდგა, ჩვენთვის არაჩვეულებრივად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის რომ განახლებულის ძალით და ენერგიით ისევ ისე ვიშუამდგომლოთ, სათანადო დეპუტაციის საშუალებით, ჯერ აქ, მის იმპერატორებით უმაღლესობის და მერე, პეტროგრადში მის იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე, რათა მან ერთის უმაღლესის ბრძანებით კვლავ შემოსოს უფლებით დღეს დაქვრივებული ივერიის მართლმადიდებელი ეკლესია, რუსეთის ეკლესიის უფროსი და,—და ამითვე აღადგინოს მსოფლიო საეკლესიო კრების დარღვეული უფლება და პრესტიჟი. სარწმუნოება და ქრისტეს ჯვარი დღეს უკიდურესობამდე დაცემულია იმ ქართველ ხალხში, რომლის ქრისტიანობრივ და სარწმუნოებრივ სიმტკიცეს ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნის ისტორიული საბუთები აღნიშნას: პროკოპი კეისარიელი, იუსტინიანე დიდის მდივანი, თავის De bello persico-ში ასე იტყვის: „ქართველები (ივერიელები) ქრისტიანები არიან და ყველა ქრისტიანებზე უფრო მტკიცედ იცავენ ქრისტეს რჯულსო“. ხოლო მას შემდგომი საუკუნეები ხომ ერთი წარუშლელი ისტორიული მოთხრობა ქართველობის მოწამებრივი სიცოცხლისა იმავე რჯულისა და ეკლესიისთვის. და დღეს ასეთ ხალხში რჯულმა და რელიგიამ დაჰკარგა თავისი სასოება.

მთელი საუკუნის განმავლობაში შეუჩერებელის თანდათანობით სწარმოებს ეს რჯულის წარყვნა და დაკნინება. ქართველი კაცის სულიერ სამეფოში მოხდა დიდი რღვევა. მას ეცლება სულიერი ბურჯი, მრავალ საუკუნეთა სიგრძეზე რომ ქართველის ბუნებას შემტკიცებია და სიცოცხლის აზრად გახდომია. და ამ ღრმად ფესვგადგმული და შესისხლხორცებული ჯვრის წაქცევა უხიფათოდ არ ჩაუვლიდა მთელ საქართველოს, ნამეტურ მაშინ, როდესაც სამაგიეროს ვერაფერს ღებულობდა და რელიგიურ--სარწმუნოებრივ კატასტროფასთან ერთად, მისი ეკონომიურ-პოლიტიკური წყობილებილებაც ირღვეოდა. იმ რელიგიური სულის გაძარცულობამ და დაუძლურებამ, რომელიც 15 საუკუნის განმავლობაში ქართველ ერის პიროვნებას თავის ბეჭედს ასვამდა და მისი უზენაეს სტიმულად გამოდიოდა, საქართველოს ეროვნულ კულტურულ ცხოვრებაზედ თავის გამანადგურებელი შედეგი უკვე მოიღო. სულიერი სამყაროსი ასეთი დიდი შერყეულობა ყოველთვის ძვირად უჯდებოდა ქვეყანას. ბევრს იქნებ ასეთი კატასტროფა ვერც კი გადაეტანა და მსხვერპლად შეწირვოდა. ამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, როდესაც დაუნდობელი ბედი საქართველოზედ თავის ექსპერიმენტებს ახდენდა, ქართველ ერს რომ შეურყევლად შერჩენოდა თავისი ეკლესია და სარწმუნოება, მისი აწინდელი ეროვნული ყოფა სულ სხვა სახისა და სხვა ჯანის იქნებოდა!

და აი დღეს საშუალება გვეძლევა ეს დიდი ბურჯი კვლავ წამოვაყენოთ.

რომელი ერთი ქართული საქმე შეედრება თავის ფსიხოლოგიურ მნიშვნელობით, თავის კულტურულ ქონებრივ და ორგანიზაციულ შედეგებით, თავის ეროვნულ ღირებულებით იმ საქმეს, რომელსაც ეწოდება საქართველოს ეკლესიის უფლებრივი აღდგენა. ყოველი ერის ისტორიაზედ უფრო მჭევრმეტყველურად ისევ ქართველი ერის ისტორია მოწმობს რომ ასეთ დიდი შედეგების მისაღწევად საჭირო ყოფილა ჯართა წყებების გამოყვანა, სისხლის ღვარის ადინება და აურაცხელი სიცოცხლის შეწირვა. დღეს ამგვარი შედეგის მიღწევა უფრო ადვილ პირობებშია მოსახერხებელი. თვით ხელმწიფე იმპერატორმა ქართველი ერის ხმა-განცხადება უმაღლეს ყურადღებისა და მოწონების ღირსად გახადონ,—ამით ქართული ეკლესიის ბედზე სათანადო ზრუნვა ქართველი კაცის სამართლიან ეროვნულ მოვალეობად ჩაირიცხა და დაკანონდა. და ნუ თუ ეს ზომა დიდი ეროვნული საკითხი, რომელიც სფეროებში ლამის მორიგ სარეფორმო საკითხად გადაიქცეს, ქართველი ადამიანის შეგნებაში ეროვნულ საკითხად არ იქნება მიჩნეული?! ნუ თუ ივერიის ეკლესიის უბედურება ისეთ ეროვნულ ღირსების უბედურებად არ უნდა ჩაითვალოს, რომელიც მთელს ქართველობას გარს შემოიკრებდეს, სწორედ ისე, როგორც აჭარის უბედურებამ შექმნა ქართველთა ეროვნული ერთსულოვნება და მთელი ქართველობა ერთის გრძნობით და ერთის აზრით ასპარეზზე გამოიყვანა?! აქაც ხომ საქმე სრულიად საქართველოს ეკლესიას შეეხება, რომელიც მთელი ერის ეროვნული განძი და საკუთრებაა. მისი უფლების დასაცავად გარჯა და თავგამოდება ჩვენი წმიდა ეროვნული მოვალეობაა. ამ მოვალეობის მოხდა დღევანდელს მომენტში უფრო შესაძლებელია.

ქართულმა პრესამ მიმართულების განურჩევლად უნდა ხმა ამიღოს. საქართველოს ეკლესიის სამრევლოებმა უნდა ხმა-მაღლა გამოსთქვან თავისი სულის ვარამი და მოითხოვონ სულიერ სარწმუნოებრივი განახლების პირობები: ამავე საქმეში უნდა ჩაებას თვით სამღვდელოება და თავად-აზნაურობა; მათ ბანი უნდა მისცენ ქართულ ქალაქების თვითმართველობებმაც; ერთის სიტყვით საქართველოს ეკლესიის შესახებ მთელს ქართველობაში ერთი აზრი და ერთი გრძნობა უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს. ნუ თუ ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის მთელ სულიერ-რელიგიურ სამყაროს ფლობდა, დღეს იმად არ ღირს რომ ჩვენ ჩვენი პარტიული დოკტრინის პატარა ღმერთი ჩავაჩუმოთ და მიუძღვნათ მას მაღალი შეგნება უზადო, უანგარო ეროვნული მოვალეობისას?!

სპ. კედია.

წერილი აჭარიდან

პირველი სკოლა მაჭახელში.

„ჯუმა“ დღე იყო. დილით ჩვენთან მოვიდნენ ჩხუტუნეთისა და ჩიქუნეთის ხოჯები. პირველი ახალგაზრდა კაცია: ბათომში ნამყოფი, სხვა და სხვა საქმეში გამოჭახრაკებული, ის აქ ს. ქედიდან არის. ენით დიდი მადლიერია, ქართველების. ქართველების საქებსადიდებლათ ოსმალურ ენაზე „მანიფესტიც“ კი გამოუცია,[1] რომელსაც ავრცელებს და რომელშიაც, როგორც გადმომცეს ქართველების დიდი ქებითქებაა. იგივე „მანიფესტი“ მას გაულექსია ქართულად და მთელი ვეება ქებათა-ქება ბოლოვდება რითმა ზე-ზე. მაგ. „დიდ მადლობას მოვახსენებთ ქართველების „კინიაზებზე“ იგინია ჩვენი შემწე ამ დუნია მემლექედზე“ და სხ. საზოგადოთ უნდა მოახსენოთ, რომ აჭარლები ლექსთა ყობაზე და ჰარმონიაზედ მწყრალად არიან.

ჩუქუნეთის ხოჯა ადგილობრივი მცხოვრებია, მოხუცი ძალიან გულუბრყვილოსა გავს და, როგორც გადმოგვცეს მრევლის სიყვარული აქვს დამსახურებული. ხოჯები ერთი მეორეს ამბორის ყოფით მიესალმნენ, მაგრამ ცხადათ ეტყობოდა, რომ ეს ალერსი აღმოსავლეთური იყო. სკოლის გახსნა ორივეს ესიამოვნა. უმცროსმა ხოჯამ, მოლექსემ, რომელიც სოფელს წლიურად 12 თუმნად ემსახურება, ჩვენთან დიდი გაუმაძღრობა გამოიჩინა და კატეგორიულად განაცხადა: თუ მე ვიქნები თქვენს კლასში რჯულის მასწავლებლად თვეში 4 თუმანი მომეცითო... გადაწყდა ჩხუტუნეთის ხოჯა თავის მრევლს მოელაპარაკებოდა და ლოცვის შემდეგ თვითონაც მოყვებოდა და ხალხსაც მოიყვანდა ჩიქუნეთის ჯამესთან. გავედით ჩიქუნეთში. ლოცვის შემდეგ შეკრებილ ხალხს ხელმძღვანელებმა გააცნეს სკოლის საჭიროება და უთხრეს, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით ამ ორი სოფლისათვის უნდა გაიხსნას სკოლა. ხალხს ძლიერ ესიამოვნა, ყველამ დიდი მადლობით მოიხსენა ქართველები, მაგრამ სკოლის გახსნის შესახებ მაინც ყოყმანი დაიწყეს. ზოგმა აქაც სურვილი გამოთქვა, რომ პირველად სკოლა გახსნილიყო სოფ. ხერთვის (6 ვერსზეა ამ სოფლიდან). ცხადად ეტყობა, რომ ამ ხეობაში ბატონობენ ხერთვისელები და იქაური დიდი ხოჯები, მაშასადამე თუ იქ დათანხმდებიან, სჩანს საჭიროც ყოფილა. რამოდენიმე სიტყვის შემდეგ ხალხმა ჩვენვე დაგვავალა აგვერჩია სასკოლო ადგილი... ბევრი ველოდეთ ჩხუტუნეთლებს, მაგრამ არც მათი ხოჯა და არც ხალხი არ მოვიდა. მეტი გზა არ იყო, საღამო ჟამს ჩვენ თვით ვიახელით ზემო ჩხუტუნეთს, რომლის ჯამეზედაც დაგვიხვდა ოცამდე კაცი. ხოჯამ ცბიერული თავის მართლება დაიწყო, ვაპირებდით და შევაგვიანდაო, მაგრამ ყველაფრით სჩანდა, რომ თაღლითობდა. აქაც ავუხსენით ხალხს სკოლის საჭიროება და უთხარით, რომ დროებით სკოლა გაიხსნება ქვედა ჩხუტუნეთში, სასოფლო სამართველოსთან, მერმეთ კი საცა ხალხი სამჯობინარად დაინახავს და სკოლის დასადგმ მიწას გვაჩვენებს იქ ავაშენებთ. ხალხი კმაყოფილი დარჩა. აქ ხოჯამ უტიფრად განაცხადა, რომ თუ ის იქნება რჯულის მასწავლებლად და თვეში სამ თუმანს მისცემენ, მაშინ ის სკოლაში გადაიყვანს თავის „მედრესეს“ (სკოლა ჯამესთან) 40—50 მოწაფეს. აქ ველარ მოვითმინე და ხოჯას ასე მოვახსენე:

— ხოჯავ შენი სიტყვიდან ასე სჩანს, რომ თუ შენ სამ თუმანს მოგცემენ, მაშინ ხალხს ეტყვი სკოლა კარგია, შვილები მიაბარეთ შიგ და თუ არა მაშინ სკოლა ცუდი იქნება.[2] ამ შენიშვნაზე ხალხმა გაიცინა და იქვე განაცხადეს, რომ ჩვენ რამდენიც უნდა გვითხრას ხოჯამ სკოლა არ ვარგა, ჩვენ ქართველებს მაინც დიდათ ვენდობით, ვიცით, რომ ჩვენთვის კარგი გინდათ და სულიც თქვენგან გვიდგიაო.

საღამოს ისევ ჩვენს მასპინძელთან დავბრუნდით. მეორე დღეს გამოვეთხოვეთ ყველას იქაური სკოლის მოწესრიგება და ხოჯის არჩევა მიანდვეს იქ დანიშნულ მასწავლებელ ნიკო ქამუშაძეს.

სკოლის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს, რომ მეორე სკოლის გახსნა იშუამდგომლონ ხერთვისში. მაჭახლის ხეობის გაცნობამ ბ. ბ. ხელმძღვანელები ღრმად დაარწმუნა რომ მთელი ეს ხეობა ხეხილის ბაღისათვის შეუდარებელია, ამიტომ სასურველად სცნეს აქაურ სკოლებთან იყოლიონ პრაქტიკი მებაღეები და გამართონ ნამყენ-ხეხილის საჩქოლეები. მაჭახელი მართლადაც რომ იშვიათი სახეხილე ადგილია. აქ არ იცის ქარი, მოწვა, სითბოც მუდამ ზომიერია. გარდა ხეხილისა მშვენივრად იხეირებს აგრედვე ვაზიც. თუმცა ასეთი საბაღე ადგილია მაჭახელი, მაგრამ რაკი სატლო გზა არ გადის, ეს მშვენიერი კუთხე ყველასაგან მოძულებულია. აჭარაში მოქმედობს საერობო ხარჯით სამეურნეო დახმარების სადგურები, (პუნქტები) მაჭახელიც მათ სამოქმედო ფარგალში შედის, მაგრამ იქ ჯერ არც ერთ მეურნეს არ გაუვლია.

ია. წ—ძე.

ცირას „მდელო“

ამ რაოდენიმე კვირის წინათ შემთხვევა მქონდა მომესმინა ქართულისა და ანგარიშის გაკვეთილები თელავის ქართულ სკოლაში მე-II-განყ. მოწაფეებთან. ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელი ქალი ესაუბრებოდა მოწაფეებს მცენარესა და მისი ნაწილების შესახებ. საერთოდ მოწაფეები შეგნებულად უპასუხებდნენ, რაოდენიმე მოწაფემ ჩინებულათაც დახატას დაფაზე მცენარე და მისი ნაწილები. მოწაფეთა შორის, ყველაზე უფრო მიიპყრო ჩემი ყურადღება ერთმა პატარა (10 წ.) თვალებ ცქრიალა გოგონას მკვირცხლმა და შეგნებულმა პასუხებმა; ამ გოგონას მასწავლებელი ცირას ეძახოდა; ანგარიშის გაკვეთილზედაც იმავე გოგონას სწრაფ აზროვნებამ და თვითმოქმედებამ გამიტაცა: საკუთარის დაკვირებიდან უცბად იგონებდა ტიპიურ ამოცანებს. ცირა აღმოჩნდა ქალი სკოლის გამგის ქ-ნ ნინო გოგნიაშვილისა. გაკვეთილების გათავების შემდეგ თამამად მომმართა ცირამ:

— ძია, ჩემს ჟურნალზე მოაწერე ხელი და გამომიწოდა ნაცრის ფერკან შემოკრული პატარა რვეული, რომელზედაც ეწერა ჟურნალი „მდელო“; კარგად გავშინჯე ცირას „მდელო“; რაოდენიმე ნომერი მაჩვენა; ჟურნალში ჩინებული პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობები და ლექსები იყო მოთავსებული; ცირას ჩემი მისამართი მივეცი და ისიც დამპირდა თავის „გამოცემის“ გამოგზავნას. არა გასულა ბევრი ხანი, რომ მივიღე ცირადან წერილი, რომელშიაც მწერდა: ძია, ჩემი ჟურნალი იხურება რადგანაც თანამშრომლები არა მყავსო. წაუკითხე ჩემს მოწაფეებს (მეორე განყ.) ცირას მონაწერი, გავაცანი მათ ცირა, „მდელო“ და მისი დახურვის მიზეზი, მოუწოდე მათ დახმარებოდნენ ცირას „მდელოს; მოწაფეებს ჯეროვანათ ვივარჯიშებ თავისუფალი საწერებით, საბავშო ჟურნალებითა და წიგნებითაც საკმაოდ სარგებლობენ და ამისათვის იმედი მქონდა ზოგი მათგანი მაინც შესძლებდა ცირას „მდელოში“ თანამშრომლობას; ამის შესახებ ვაცნობე ცირას. გამიმართლდა იმედი: მეორე-მესამე დღეს მოწაფეებმა რაოდენიმე ლექსი და პატარა მოთხრობები მომიტანეს ცირას „მდელოსთვის“. ზედმეტად არ მიმაჩნია სულ ცოტა შესწორებით აქვე მოვათავსო ზოგი ჩემი „მგოსნების“ ლექსები, რომლების დედანს რედაქციას ამასთანავე ვააახლებ. რასაკვირველია, ეხლა ბავშვის უდარდელ გრძნობას ყველაზე უფრო გაზაფხულის სიკეკლუცე იტაცებს, ამისათვის ჩემი „მგოსნების“ უმეტესობაც გაზაფხულს აგვიწერს. როგორც მათი „ნაწარმოებიდან“ სჩანს ომის საშინელებასაც განაცდიან უდარდელი ბავშვები; აი მაგ. პატარა გოგონა მარიამ ხოსიტაშვილის ლექსი:

„ოხ, რა მიყვარს გაზაფხული,
კეკლუცი და საამური,
იფურჩქნება მინდორ ველი
სიხარულით ძლება გული.
ფრინველები აჭიკჭიკდნენ
გადიშალა ია, ვარდი
მეც დავრბივარ და დავხტივარ
დამეკარგა ომის დარდი·

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ გოგონას ძმა ჰყავს ომში, მაგრამ გაზაფხულის სიმშვენიერეს ის მოუხიბლავს, რომ ომის დარდი სრულიად დაჰკარგვია.

ანიკო გელაშვილი უფრო მოხდენილათ აგვიწერს გაზაფხულს:

ჰო, რა მიყვარს გაზაფხული,
კეკლუცი და საამური,
ყველა ხარობს მხიარულობს
მეც სიამით მიძგერს გული.
ჩუ, იქ შაშვი აგალობდა
აქ, იფურჩქნის ია, ვარდი
მიყვარს, მიყვარს გაზაფხული
შენ ზამთარო მალე წადი.

ლადო დიმიტრაშვილისთვის მუზას უღალატნია, ის ვერ ახერხებს გაზაფხულის ლექსათ აღწერას და პროზათ ასე აგვიწერს გაზაფხულს: „ოი, რა კარგია გაზაფხული; ია ყვავის, ხეები იკვირტებიან, მინდორში პეპელები დაფრინავენ, ბავშვები დარბიან და იჭერენ მათ, ფრინველები ბუდეს აკეთებენ, ჭიკჭიკობენ, ბავშვები მინდორში დარბიან და იას კრეფენ, მეც მიხარიან“ დასძენს გულუბრყვილოდ ლადო

თამრო გამცემლიძეს კი სამშობლოს სიყვარულიც კი საკმაოდ გაუტარებია თავის ლექსში „ობოლი“: *)

„ვიყავ სამშობლოს მოსიყვარულე,
მომიკვდა დედა ჩემი აღმზრდელი
დავრჩი მე ობლათ ჩემ სამშობლოში,
და მათხოვრობას მოვკიდე ხელი.
დავდივარ სოფლად ლუკმა პურისთვის
მაგრამ არავის არა მაქვს ნდობა,
შენ გენაცვალე, ჩემო მამულო,
გთხოვ გამიწიო მე თანაგრძნობა.

საკუთარის მოგონებიდანაც ბევრმა მომიტანა პაწაწუნა მოთხრობები. აი მაგ. თამრო ქურდაშვილი რას გვიამბობს თავის მოგონებიდან: „ჩვენმა დედა ძაღლმა ლეკვები დაჰყარა; მოვიდა ელო უნდოდა ლეკვები აეყვანა, დედა ძაღლი მოვარდა და კაბა სულ დაუხია, ელომ ტირილი დაიწყო“.

გრ. საქარიქედელი.

(დასასრული იქნება)

სოფლად

II ნაწილი.

დავდივარ სოფლად
ველად გაჭრილი
და ვიკვლევ ობლად
მიტოვებულსა
სოფელსა ოხრად.

საგარეჯოსაკენ გამგზავრება.—სოფ. საგარეჯო.—საგარეჯოს საკულტურო დაწესებულებანი და მათი ინტელიგენცია.—სოფ. პატარძეული.—„დრეიძე“ ნოვოგიორგევსკი.—„ფოდრაჩიკი“ გულისაშვილი და შეშის ზიდვა თბილისში.—ხაშმი.—სართიჭალა.—მოახალშენეთა დასახლება.—თავად-აზნაურობის მამულების გადასვლა მოახალშენეებზე.—მოახალშენეთა ზნე-ჩვეულებანი და მათი ადგილ-მდგომარეობა.

—

საგარეჯოსკენ გამგზავრება.

კვლავ სოფლად სიარული მიხდება. ვეცნობი მათ ჭირსა და ვარამს, თვალს ვადევნებ მათ არე-მარეს.

კახეთის რკინის გზით გავემგზავრე და მატარებლის სიარულმა მამცნო, ჯერ კახეთის რკინის გზა არ დამკვიდრებულა.

მატარებლის სარკმლიდან არე-მარეს გავყურებ, საიმისო სურათებს ვერ ვხედავ, რომ თვალი გამეჩერებინა. ტრიალი, ცარიელი მინდვრები! და აქა-იქ ცხვრის ფარა გაშლილი მოსჩანს. ქართლის თვალ-წარმტაცი ველები თავისი მოჩუხჩუხე ანკარა მდინარეებით მომაგონდა და შევადარე აქაურობასთან.

მდ. იორს რომ ვუახლოვდები მისი სანაპიროები და კალაპოტი გვამცნევდა, რომ ამ წყალს მოდიდება უნდა სცოდნოდა, მართლაც—რკინის გზის დიდ მანძილზედ ქვით ნაშენი სანაპირო დამბები გაერღვია.

სადგურ საგარეჯოში, შუა დღე იქნებოდა, რომ ჩამოვხტი, ბევრი აღარ დავახანე, ჩასაჯდომით გავსწიე სოფ. საგარეჯოსკენ.

გვერდზედ ერთი ებრაელი მომიჯდა გავიცანით ერთმანეთი და აღმოჩნდა, რომ ეს ებრაელი ცხინვალიდან გადმოსახლებული ყოფილა საგარეჯოში.

---

[1] ამ მანიფესტის ასლს რედაქციას ვუგზავნი. ია. წ.

[2] სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ხოჯა, ყველგან (გარდა ამ ერთისა) სიამოვნებით შეხვდა სკოლის გახსნას. ია. წ.

*) ამ ლექსმა ჩემში იჭვები დაბადა, მაგრამ თამრომ დაჟინებით მითხრა: საკუთარი ჩემი დაწერილიაო...

გაუხარდა ჩემი გაცნობა, რაკი მის მხარისა გამოვდექი.

გამოვკითხე მას აქაურობაზე და ბევრი რამ მამცნო, რომელიც შემდეგ გამომადგა.

გზად მიმავალმა შევნიშნე, რომ სადგურიდან საგარეჯომდის ახლად გაჰყავდათ ფართო გზა-ტკეცილი. ახლად დაყრილ მიწაზედ, თან ჟინჟლიანი ამინდიც იყო, ჩასაჯდომს სიარული უჭირდებოდა.

შევნიშნე, რომ ირგვლივ მინდორი მოდებული იყო ძეძვნარით და შეუმუშავებელი ადგილებით, მხოლოდ შიგა და შიგ მოსჩანდა აბიბინებული ჯეჯილები. შორს კიდევ თავისუფალი იალალები სჩანდა და ეს გარემოცულობა გვამცნევდა, რომ საგარეჯოელები მამული სივიწროვეს არ უნდა განიცდიდნენ და ეს ჩემი მოსაზრებაც მართალი გამოდგა.

საგარეჯო.

სოფელ საგარეჯო სერის ძირშია გაშენებული, დაქანებული ხევები ჩამოუდის და სოფელს ჰყოფს რამდენიმე ნაწილად. ამ ხევებს განიერი კალაპოტი უჭირავს და თეთრი რიყის ქვითაა მოფენილი; სოფელიც რიყის ქვითაა სავსე, შიგა და შიგ ვენახებია გაშენებული და კაკლის ხეებითაა შემორიგებული, ხეხილს ვერ შენიშნავთ, მხოლო აქა-იქ ნუშის და ღელვის ხეები მოსჩანან.

შენობები ქვითკირითაა ნაშენი, კრამიტით გადახურული,—საბძლები კი ან წნულისა ან ფიცრული.

სოფ. საგარეჯოს მცხოვრები 1,200 კომლამდის ითვლება, მათ შორის 900 კომლი ხარჯის გამლებია, უმამულო გლეხია—120 კომლი სასულიერო წოდება ითვლება—40 კომლი, აზნაურებიც იქნებიან—50 კომლი და 70 კომლი სომეხიც მოსახლეობს.

ხარჯის გამლებ თითო კომლზედ მოდის 10 დეს. მამული.

სოფ. საგარეჯოს მამული სახაზინოა და წლიური გადასახადი 14,000 მანეთს იხდიან ხარჯის გამლები გლეხები.

უმამულო გლეხები ხარჯის გამლებ გლეხებისაგან იღებენ სალალოდ სახნავ მამულებს და დღიურზედ იძლევიან თითო კოდს ანუ 3 ფ. 10 გირ.

აქაური აზნაურებიც უმამულონი არიან, საკუთარი მამული თითო კომლს სახნავი ექნება—2 დეს. და ტყეც—3 დეს., ესენიც ხარჯის გამლებ გლეხებისაგან იღებენ სალალოს და იხდიან 3 ფ. 10 გირ.

სოფ. საგარეჯოს საბალახო ადგილები დიდ ადგილსაა გადაჭიმული და წლიური შემოსავალი ურდის ნაღდ ფულად 8,000 მან. ამ ფულს საერთო საქმეებზედ ახარჯავს სოფელი.

აგრეთვე საგარეჯოელები კერძოდ ჰყიდიან 100,000 ფ. თივას, ვარაუდით 25,000 მანეთასას.—

სახნავი მამულიდან მოსავალი უდრის ორთა შუა რიცხვით დღიურზე 60—70 ფუთი პირნახული. დღიური სახნავი მამული ღირს 100—150 მან.

კახეთის რკინის გზამ რამდენიმე ადგილას ამ სოფელში წყლის მილი გამართა და სასმელი წყალი გამოიყვანა.

საგარეჯოს საკულტურო დაწესებულებანი და მათი ინტელიგენცია.

საგარეჯოში არსებობს ორი სამინისტრო სკოლა, სადაც სწავლობს 260 მოწაფე, დანარჩენი მომეტებული წილი სოფლის პატარა ბალღები სკოლის გარეშე რჩებიან.

ახლად დაარსდა ბ-ნ ნ. ი. ბაზიეროვის მეცადინეობით საფეიქრო სკოლა —17 ქალი სწავლობს.

ამ სკოლებს ექვსი მასწავლებელი ჰყავს, ორი მღვდელით,—ერთი ჭრაკერვის მასწავლებელიც. სოფელი იხდის მხოლოდ სამინისტრო სკოლებისთვის 900 მან.

საფეიქრო სკოლისათვის ქართული სამეურნეო საზოგადოება იძლევა ერთ მასწავლებლისთვის—480 მან., საგარეჯოც იძლევა—200 მან. და სიკრედიტო ამხანაგობამაც გადასდო მოგებიდან—100 მან.

არსებობს სამკითხველო, სადაც მოდის ჟურნალ-გაზეთები, სოფელს აქვს საკუთარი ქვიტკირის შენობა თეატრისთვის, მის დარბაზში ცხენი გაჰქენდება.

აგრეთვე არსებობს ქსენონი ერთის ექიმით და ორის ფერშლით, ომიანობის გამო ეხლა ერთი ფერშალია. ეს ფერშალიც სარგებლობს გარემოებით და ავადმყოფებისაგან ერთი სამად გასამრჯელოს იღებს.

1912 ღვინობისთვეში საგარეჯომ გახსნა საამხანაგო მაღაზია და როგორც 1916 წ. 20 იანვრის წლიური ანგარიშიდან სჩანს, აღებ-მიცემობა უდრის 49,272 მან. 2 კ. 1913 წლის მოგება იყო 1,351 მან. 94 კ., 1914 წელში—850 მან. და 1915 წელს კი მოგებამ იმატა, დარჩა წმინდა მოგება 3,545 მ. 61 კ.

1916 წელსა მარტის 13-სა დღესა საერთო კრება შედგა და კრებამ მეტის ხმობით დაადგინა: მოგებიდან გადადოს საგარეჯოს თეატრის სასარგებლოდ—200 მან., სამკითხველოსათვის—100 მან. აჭარლების სასარგებლოდ—100 მან., ხევების გასამაგრებლად—100 მან.

და გამგეობის წევრებს, რომელიც დღემდის უფასოდ ემსახურებოდნენ მათ ჯილდოთ გადასდეს—356 მ. 61 კ. და მაღაზიის მოსამსახურეებსაც მიეცათ საჩუქრად—75 მან.

საამხანაგო მაღაზიის შენობისათვის გადასდო 1,925 მან. სათადარიგო თანხისათვის გადასდო 10% და პაიებისთვისაც ამდენივე.

ამასთანავე კრებამ დაამტკიცა გამგეობისაგან შედგენილი მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელშიაც გამოიხატა შემდეგი: დაენიშნოს უფროს ნოქარს თვეში 50 მან., მის თანაშემწეს—20 მან., ხაზინადარს—30 მან. ორ პატარა მოსამსახურეებს 14 მან., სახლის ქირა—30 მან., მისი გათბობა-განათება—60 მან. წვრილი ხარჯებისთვისაც—70 მან. საქონლის გადატან-გადმოტანისთვის 350 მან. და ჯამაგირები გამგეობის წევრებს—600 მან.

სარევიზიო წევრებსაც დღეში 3 მ. მიეცეთ.

აგრეთვე კრებამ დაადგინა ჩაეწეროს ამიერ კავკასიის კავშირში.

კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის თავმჯდომარედ ბ-ნი ნ. ი. ბაზიეროვი, მღვ. გულისაშვილი, მღვ. დიმ. ბურთიკაშვილი.

სარევიზიო კომისიაში:— მღვ. მჭედლიშვილი, იოსებ ქურდოვანიძე და ნიკა მღვდლაძე.

საგარეჯოს წვრილი კრედიტის ანგარიშიდან სჩანს, რომ მთელი ფულის ტრიალი უდრიდა 124,403 მ. 25 კაპ.

წევრი ითვლებოდა საგარეჯოდან 632, გიორგი-წმინდიდან—250 და ნინო წმინდიდან—256, მათი ნდობა ისაზღვრებოდა—61,420 მან.

კრებამ გადასდო მოგებიდან, ესე იგი, 1689 მ. 1 კ.: ძირითად თანხისათვის 976 მან., სათადარიგო თანხისათვის 338 მან. შენობისთვის—300 მ. საფეიქრო სკოლისთვის—100 მ., აჭარლების სასარგებლოდ—50 მან., თეატრის სასარგებლოდ—100 მან., სამკითხველოსთვის—50 მან. და ხევების გასამაგრებლად—75 მ. 1 კ.

ამასთანავე კრებამ დაადგინა: ჩაეწეროს კახეთის კავშირში და რწმუნებულებად აირჩია, ბ-ნი ნ. ი. ბაზიეროვი, იოსებ ქურდოვანიძე და მღვ. დიმ. ბურთიკაშვილი.

მასთანვე 1916 წლის ხარცთ-აღრიცხვა დაამტკიცა, რომელშიაც გამოიხატა შემდეგი: სახლის ქირა—240 მან., მმართველებს—400 მან., მოსამსახურეს —100 მან., საქმის მწარმოებელს—600 მან., მის თანაშემწეს—480 მან., გამგეობის თავმჯდომარეს—360 მან., ხაზინადარს—360 მან., გამგეობის მესამე წევრს—300 მან., საბჭოს წევრებს—180 მან.

კრებამ აირჩია გამგეობის თავმჯდომარეთ—ნ. ი. ბაზიეროვი, ხაზინადრად მღვ. დიმ. ბურთიკაშვილი და მღვდ. მჭედლიშვილი.

სარევიზიო საბჭოში კრებამ ამოირჩია მღვ. ალ. გულისაშვილი, იოსებ ქურდოვანიძე და ალ. არუთინოვი და საქმის მწარმოებლად მ. მჭედლიშვილი.

სახელმწიფო ბანკმა სესხი გაუდიდა გძელვადიანი—3000 მან. და მოკლე ვადიანი—25.000 მან.

უნდა აღვნიშნოთ, როგორც შევამჩნიე, აქაური მეგვარეები თაკილობენ ქართულ გვარების დაბოლოებას. ზოგი გადამახინჯებასაც ცდილობს, მაგალითად: მჭედლიშვილის მაგიერად მჟედლოვს ირქმევს, გულისაშვილის მაგიერად—გულისოვ და ბაზიერაშვილის მაგიერად—ბაზიეროვი.

აქაური ინტელიგენციის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათ შეერთებულს ძალით და შეთანხმებით ემუშავნათ, საგარეჯოს საკულტურო დაწესებულებანი დიდ წარმატებაში იქნებოდა, მაგრამ სადაც პარტიობაა და ჯგუფობრივი ფანატიზმი ტრიალებს, იქ კეთილი არავის აყრია.

ამას გარდა, როგორც შევნიშნე და გარეშეებისაგან მოვისმინე, საგარეჯოს და პატარძეულის ინტელიგენტები დაშინებულნი ყოფილან მოძრაობის მოხელეებიდან და ასე ენერგიულად აღარ იღებენ მონაწილეობას სასოფლო საქმეებში და კიდეც გაუფრთხიან, არავინ დაგვაბეზღოს, ან არაფერი წამოგვცდესო.

აქეთ ჯერ კიდევ დამსჯელი რაზმების შიშის ზარი ტრიალებს და ქალაჩუნებიც ტრიალე ებ.

სოფელმა საგარეჯომ ბ-ნ ნ. ი. ბაზიეროვის მეცადინეობით სადგურ საგარეჯოს გვერდზედ ქართულ-სამეურნეო საზოგადოებას შესწირა 15 დესეტინა საუკეთესო ღირსების სარწყავი მამული, სამეურნეო საზოგადოება კიდეც შეუდგა მის შემოღობას.

Legatus.

(შემდეგი იქნება)

დაბა-სოფელი

შირაქის ამბები. შირაქიდან ძალიან ცუდი ამბები მოდის. მოგეხსენებათ როგორი მშრალი ზამთარი იყო წელს. ამისა გამო ისედაც დაუძლურებულ ცხვრებს შეჰყრია სამი ჭირი: დული, ჩიჩრახი და ყვავილი. თითქმის მთელი ცხვარი გასწყვიტა ამ ჭირმა. ბატკნის გამრავლებას ვინა ჩივის, ნეტავი იმის ნახევარი მაინც შეინარჩუნონ რამოდენიც საზამთროდ იქმნა ჩაყენებული. მოზრდილ თოხლს ეხლა აღარა უშავს რა, რადგან ბოლო დროს ამინდებმა ხელი შეუწყეს, ხოლო რაც შეეხება დედალ ცხვარს ჩიჩრახი მწვანე ბალახთან უფრო მძვინვარებს—ჟლეტს. ახლად გაჩენილი ბატკანი სწოვს დედის ჩიჩხარიან რძეს და ამით ისიც კვდება.

აი ასეთი ამბები მოიტანეს შირაქიდან მოსულებმა. აქა-იქ შეხვდებით ორიათასი ცხვრის პატრონს, რომელთაც გაჟლეტია ცხვარი და 600 თუ დარჩენია. აქედან ადვილი წარმოსადგენია რა მოუვიდა იმათ ვისაც ცოტა ცხვარი ჰყავდა. ისინი ხომ იმედ გადაწყვეტილები არიან უქონლობითა ამ ულმრთო სიძვირით და შინ-კი მშიერ ცოლ-შვილის პატრონობა უნდა. ამისთანა გასაწყლებული ხალხი ბევრია, რომელთაც ცხოვრების საშუალება აღარა აქვს ⁊ აღარა დარჩენიათ რა, იმის მეტი რომ გავარდენ ყაჩაღად და ქურდ-ბაცაცობით მაინც ირჩინონ თავი. ასეთი მაგალითებიც ბევრი იყო. ეხლახან შირაქიდან გამოქცეული თუშები ამოსულან ალვანში და აქ თურმე ქურდობდნენ. აქედან წასულან პანკისის ხეობაში, სადაც გზაზე მიმდინარი ქისტი დაუნახავთ. ერთ ქურდბაცაცას თოფი ჰქონია, ისიც ცარიელი, მეორეს-კი არაფერი ჰქონია. მოსულან ქისტთან და უთქვამთ „გადმოდი ცხენიდან თორემ მოგკლავთო“. ქისტი ჩამოსულა ცხენიდან და იმათ თქმაზე ხუთ-სასროლიანი თოფი გადაუცია. სადაც ოთხი გასროლის მეტი არა ყოფილა. ქურდებს თავისი თოფი იქ დაუგდიათ და ქისტისა კი თვითონ ჩაუგდიათ ხელში. თოფი რომ წაართვეს „ახლა ხანჯალი შემოიხსენიო“ დაუწყვია.

„კაცო! მეც კაცი ვარ, თოფი ხომ მოგეცით და ხანჯალს მაინც ნუ შემომხსნითო“. ქურდებს არ დაუშლიათ, გაჯავრებულ ქისტს უძვრია ხანჯალი და ერთ-ერთს მოხვედრია მაგრამ ვერ მოუკლავს. გამოტრიალებულიყო ქისტი და პანკისისაკენ გაქცეულიყო „ჰარიქა მიშველეთო!“

ქურდებს უკანიდან ესროლათ და თითი მოეგდებინათ. ქისტის ყვირილზე ჩამოშველოდნენ სხვა პანკისელი ქისტებიც და დაჭრილ ქისტის მეთაურობით გამოსდგომიყვნენ ქურდ-ბაცაცებს. უკანასკნელები გაქცეულიყვნენ და ერთ ღრანტეში დამალულიყვნენ. გაგულიანებული ქისტები, რომ სამი სროლა კიდევ შერჩათ, პირდაპირ ზედ თურმე მიდიოდენ. ჯერ ერთს გადაეხედნა ღრანტეში— გავარდნილიყო თოფი და იქვე წაქცეულიყო; მერე მეორეს გადაეხედნა, მესამეს, სამივენი მოუკლავთ. ეხლა კი პატრონები შემოჰკლებოდათ ქურდ-ბაცაცებს, შემორტყმოდენ ქისტები და ორივე თუში მოეკლათ. რამდენი ამისთანა ქურდები იმალებიან კახეთის ტყეებში და ცხოვრების სახსარს უვიწროებენ ქართველ გლეხს. წინათ ისინი ვინ იცის როგორი მუშანი იყვნენ და დღეს კი ქურდობას მოჰკიდეს ხელი.

რ. მურთაზაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ახალმა ამხანაგობამ საგაზაფხულო სეზონი „ღალატით“ გახსნა. უნდა შევნიშნოთ, ამხანაგობას სასურველი ძალებით შეუვსიათ შარშანდელი დასი. ახალ პერსონალთა შორის ვნახეთ კორიშელი, ნ. გვარაძე, ქ-ნი პიერეტა. სამთავემ ამ დღეს საკმაო სცენის უნარი გვაჩვენეს. საზოგადოდ პიესამ სასურველი შთაბეჭდილება დასტოვა. განა ღა ქება უნდა ვალ. გუნიას ოთარს? ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია იცნობს მას და ამ საგვირგვინო როლს ჯერჯერობით მოცილე არავინ გასჩენია.

ასევე იცნობს ქ-ნ დავითაშვილის ზეინაბს. მეტი კომენტარია საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

იმედაშვილის დათოც ცნობილია, როგორც ქ-ნ ტასო აბაშიძის გაიანე, ანუ თვით ვ. აბაშიძის ბესო. გვსურს ცოტაოდენი ყურადღება შევაჩეროთ ისევ ახალს ძალებზე. ბ-ნი გვარაძე გაჰშორდა ჩვეულებრივს შაბლონს და ირაკლის როლში რაოდენიმე ცვლილება შეიტანა. განსაკუთრებით მოგვეწონა სცენა რუქაიასთან, როდესაც მოჩვენებასავით ღამის წყვდიადში ჭექა-გრგვინვის დროს ლანდსავით გამოუქროლებს ეს ვნებიანი მენადა. ლოდინით გადაჯერებული ნორჩი ირაკლი ძარღვების მოშლას იგრძნობს და ყელნაურის ხმაზე დაეცემა. ეს სცენა მით უფრო მოგვეწონა, რომ იგი არ დარჩენილა იაფ ფასიინ ეფექტად და ხწყობრი განვითარება ჰპოვა შემდეგ ტრფობის ალლოს გაღვივებაში.

ბ-ნ კორიშელის სულეიმანიც საკმაოდ მოფიქრებული იყო. თვალები მუდამ ცისკენ ყურებით მიციალებული და ადგილ-ადგილ მისტიური ხმაა, განსაკუთრებით აღმოსავლეთურ ფილოსოფიის მფრქვეველ მონოლოგებში სრულის ხაზმოსით მოიქსოვა. გვეწყინა მხოლოდ, ადგილ-ადგილ ტონის შეცვლა, უკედ დაკარგვა, რაიც ხწყობრ ანსამბლის სტილს ჰრევდა და შლიდა.

ქ. პიერეტა შედარებით კარგი რუქაია იყო.

ქ-ნი ქიქოძე უკედ ვერ დასძლევს ისახარის როლს: იგი განხორციელებული არა რა იყო...

დიოგენი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ პატივცემულ გაზეთ „საქართველო“-ს მორიგ ნომერში მოვათავსო ჩემი წერილი:

გაზეთ „სახ. ფურცლის“ № 53-ში მოთავსებულია წერილი ს. ბაკურციხიდან „ბაკურციხელის“ ფსევდონიმით. სხვათა შორის იგი ჩემს პიროვნებასაც ეხება და მოუფიქრებლად მიწოდებს მძარცველს. მიზეზი-კი ის გახლავთ, ვითომც, როდესაც ჩალაუბნის პოსტის უფროსად გახლდით კახეთის რკინის გზაზე, მოსულ წერილებზე მიმღებთ განვებ სამ-სამ კაპეიკს ვახდევინებდი. დალოცვილიშვილო, ვიდრე ვისმეს შეურაცხყოფას მიაყენებდეს, რატომ არ იძიებს საქმეს? მე ხომ ჩემის განკარგულებით არ დამიწესებია ეს ბეგარა. აქ მხოლოდ აღმასრულებელი ძალა ვარ დადგენილებისა და არა დამკანონებელი. ჩვენ გვიბრძანებს შინაგან საქმეთა მინისტრი და ამ ბრძანებას ვემორჩილებით როგორც მე, ისე სადგურის ყველა უფროსი. კარგი იქნებოდა ბ-ნი „ბაკურციხელი“ ვიდრე რედაქციას და მკითხველ საზოგადოებას შეცდომაში შეიყვანს და შეურაცხჰყოფდეს ვისიმე პიროვნებას, იკითხოს, გამოიძიოს საქმის ვითარება და შემდეგ ისე მოჰკიდოს ხელი კალამს.

ნ. მ—ძე.

—

გაზეთ „საქართველოს“ № 23 იყო წერილი ვინმე ჭანჭათელის, რომელიც ნიკო თარდგირიძის მოურავს ურიგოდ იხსენიებს. დიახ საჭირო არის და ხალხისთვინ სასარგებლო, რომ ყოველივე ბოროტ-მოქმედება გამოაშკარავდეს, მაგრამ როდესაც წერილში სიმართლე არ გამოერევა ჩემის აზრით დიდი და უდიდესი საზარალოა.

რვა წელიწადია რაც ნიკო თავდგირიძის მამული ჩემს ხელშია. პირველი ხარისხის მიწაზედ მქონდა გადასახადად დაწესებული ერთ ქცევაზედ 6 მან. 2 ხარისხ. 4 მანეთი და 3 ხარ. 3 მან. წინად კი როდესაც ხსენებულ მამულს განაგებდა მისი და ვისი ტოროტაძისა ახდევინებდა ნახევარს ნაწილს ყოველივე შამოსავლისას და მეყანეებს შინაც უნდა მიეტანათ. ასე რომ მეყანეს ერთ ქცევაზე ფულად რომ 15 მან. გადაეხადა უფრო სასარგებლო იქნებოდა მისთვის. ქ-ნ ვისის დაწესებული ჰქონდა ერთგვარი გადასახადიც ეგრედ წოდებული „ნალეჟრობი“ ე. ი. თითო მანეთს ახდევინებდა თვითეულ მეყანეს ნამუშევარის აღების დროს. ჭანჭათელი კი ამბობს, როდესაც ხსენებულ მამულს განაგებდა ნიკოს და ვისი, მაშინ ხალხს დიდი შეღავათი ჰქონდაო. ჭანჭათელი სწერს, ვითომც ჩვენ ვეუბნებოდეთ მეწისქვილეს ზედმეტი მინდი აიღეო. წისქვილი გვქონდა გაცემული იჯარით. ბევრი შამოვიდოდა თუ ცოტა ჩვენთვის სულ ერთი იყო. ჩვენ შორის იყო წერილობითი პირობა დადებული. მეწისქვილეს უნდა მოეცა პირობაში აღნიშნული საიჯარო სიმინდი და ვადის შესრულებამდე, წისქვილს ვერ ჩამოვართმევდი.

ჩვენ არას დროს მეყანეებზედ იძულება არ მიგვიყენებია ფულის გადახდის დროს. ისეთ მეყანეს, რომელსაც არ შეეძლო ფულათ გადახდა, რაიმე სანოვაგეს გამოვართმევდით და შემდეგ ჩვენ მამულის მეპატრონეს ფულად ვუხდიდით. ჭანჭათელი კი ამბობს, ვითომც ჩვენ სხვა და სხვა სანოვაგეს ქრთამად ვიღებდით. ჭანჭათელი სწერს: ბ. ნიკო თავდგირიძემ გამოგზავნა ქ. სუხუმიდან გამოცდილი პლანტატორი ბერძნები, რათა მისს მამულში გაეკეთებიათ თამბაქოს პლანტაციებიო, მაგრამ მოურავებმა ისინი ჯოხის ცემით გადარეკესო. ჯერ ერთი რომ ბერძნები არ გამოუგზავნია, იყო მხოლოდ ერთი ბერძენი და ჩვენ ის ჯოხის ცემით გავაგდეთ თუ არა ეს ყველა კარგათ მოხსენდება ბ-ნ ნიკო თავდგირიძეს, რადგანაც დაბრუნებისას ის ბერძენი ყველას ეტყოდა მას. *)

ჟამულეთ ბაჟუნაიშვილი.

შემოწირულება

რედაქციამ მიიღო შემოწირულება „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“ სასარგებლოდ ხუთი თუმანი (50 მ.) ბოდბისხევის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან.

—

რედაქციამ ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილისაგან მიიღო ერთი თუმანი გადასაცემად: ხუთი მანეთი ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგ., ხუთი მანეთიც აგარაკის ასაშენებლად.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ №-ში, გ. ლეონიძის ლექსში, კორექტურული შეცდომაა: „და ხან ცეცხლიც ხელთ უზნიავს“. უნდა იყოს: „და ხან ცელიც და სხ.

---

*) ამ საგანზე კამათს ვსპობთ. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

	№	ს. წ.
ბათომისკენ სამგ. მ.	9	8.53 სალ.
„ საფ. „	3	9.58 დილ.
ხაშურისკენ სამგ. „	19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ ჩქარი „	4	10.20 სალ.
„ ჩქარი „	6	12.8 დღის
„ სამგ. „	8	11.13 ღამ.
ყარს-ერევნ. საფ. „	4-3	11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

	№	ს. წ.
ბათომიდან საფ. მ.	4	9.30 სალ.
„ სამგ. „	10	9.51 დილ.
ბაქოდან საფ. „	3	9.3 დილ.
„ ჩქარი „	5	7.41 სალ.
„ სამგ. „	7	1.42 ნაშ.
ხაშურიდან სამგ. „	19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ. საფ. „	4-3	8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან	10 „	42 „	„
იორიდან	11 „	35 „	„
საგარეჯოდან	12 „	17 „	„
ბადიაურიდან	1 „	15	დღის
მელაანიდან	2 „	37 „	„
გურჯაანიდან	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან	4 „	58 „	„
თელავში მიდის	5 „	35 „	„
გურჯაანიდან	4 „	18 „	„
კარდენახიდან	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	45 „	„
გურჯაანიდან	10 „	46 „	„
მელაანიდან	12 „	02 „	„
ბადიაურიდან	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან	2 „	15 „	„
იორიდან	2 „	53 „	„
ვაზიანიდან	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	46 „	„
გურჯაანში მოდის	10 „	16 „	„

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართოულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ⁊ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

ქუთაისში
მ. ლაღიძის
საუკეთესო ხილეული წყალი
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.